პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТБ КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 70 (11074) | კვირა, 23 მარტი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში. — კ. საკვა. — ოპერა „დაისი“. ლაპარაკობენ მაყურებლები. — მ. ცარევი. — ვუსურვებთ დიდ შემოქმედებით წარმატებას; ვ. გოგოლევა. — გულითადი სალამი საქართველოს წარგზავნილებს; ი. იბრაგიმოვი, დ. იბრაგიმოვი. — აღმაფრთოვანებელი ოპერა; გაიხსნა ქართული კინოფილმების ფესტივალი (1-ლი გვერდი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ამერიკის გაზეთ „ჯორნელ ოფ კომერსის“ წარმომადგენლები ე. რიდერი და ჰ. ლუდიკე (1-ლი გვერდი).

ჩვენი ბავშვებისათვის (1-ლი გვერდი).

საქართველოს კპ XVIII ყრილობის მითითებათა შესასრულებლად. როგორ უნდა ვაშენოთ საცხოვრებელი ხანლები სახალხო მეთოდით — ... გორკისა და ხარკოვის საწარმოთა კოლექტივების გამოცდილება (მე-2 და მე-3 გვერდი).

პ. ბახტურიძე. — იგი უმღეროდა ხალხთა ძმობას (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ვიბრძოლოთ 1958 წლის კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულებისათვის

ჩვენი რესპუბლიკის ბევრი საწარმოს პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, აამაღლეს სამეურნეო ხელმძღვანელებისადმი პრეტენზიულობა, გამოიჩინეს სიმტკიცე და შეუპოვრობა საწარმოს და მუშათა ყოფაცხოვრების არსებითი საკითხების გადაწყვეტაში, შეძლეს მიეღწიათ კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ორმხრივი ვალდებულებების შესრულებისათვის, რის შედეგადაც გაუმჯობესდა საწარმოთა მუშაობა. შემდგომ ამაღლდა მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის და კულტურული ცხოვრების დონე.

ამის დამადასტურებელი მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში საფაბრიკო კომიტეტმა მტკიცე კონტროლი განახორციელა კოლექტიური ხელშეკრულების შესრულებისადმი მისი დადების პირველი დღეებიდანვე, ამ საქმეში ჩაბა არა მარტო თავისი კომისიები, არამედ ფართო აქტივი, რამაც კარგი შედეგები გამოიღო. კომბინატმა გადამეტებით შეასრულა წლიური გეგმა, რაც შესაძლებელი გახდა შრომის ნაყოფიერების ამაღლებით, წარმოების ორგანიზაციის უკეთ დაყენებით, პრაქტიკაში ახალი ტექნიკის დანერგვით.

მაგრამ ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია ჯერ კიდევ ვერ იჩენს საჭირო ბრძოლისუნარიანობას და პრინციპულობას კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხების დაყენებაში, რაც ბევრ საწარმოში კოლექტიურ ხელშეკრულებათა შეუსრულებლობის მთავარი მიზეზია. ძსგავსი მდგომარეობაა სამთამადნო, სატყეო და საშენი მასალების მრეწველობის ზოგიერთ საწარმოში. აქ იშვიათი როდია, რომ პროფკავშირული კომიტეტები ურიგდებიან კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ადმინისტრაციის მხრივ შეუსრულებლობის ფაქტებს, სუსტად იბრძვიან მუშებისათვის შრომისა და ყოფაცხოვრების ისეთი პირობების შესაქმნელად, რომ მათ შეძლონ შრომის ნაყოფიერების ამაღლება, იცხოვრონ უკეთ, უფრო კულტურულად და შეძლებულად.

დღეისათვის ჩვენს რესპუბლიკაში თითქმის უკვე ყველგან დამთავრდა 1958 წლის კოლექტიური ხელშეკრულებების დადება, რასაც წინ უსწრებდა გასული წლის კოლექტიური ხელშეკრულებებით ნაკისრი ორმხრივი ვალდებულებების შესრულების შემოწმება, ახალი ხელშეკრულების მასობრივი განხილვა და დაზუსტება. ახალ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია წარმოების განვითარების, მთელი ჩვენი ქვეყნის წინსვლის ამოცანებით ნაკარნახევი ბევრი ახალი საკითხი. ამჟამად მთავარია ვიბრძოლოთ კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის, რათა ყოველი დღე აღინიშნოს წარმატებებით საწარმოთა საქმიანობაში, მშრომელებისათვის შრომისა და ყოფაცხოვრების უკეთესი პირობების შექმნისათვის ბრძოლაში.

არ შეიძლება მოვერიდოთ სამეურნეო ხელმძღვანელებს, რომლებიც არ ასრულებენ კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და თავიანთი მოქმედებით ქმნიან სახელმწიფო გეგმების ჩაშლის საფრთხეს, აფერხებენ წარმოების განვითარებას, ხელს უშლიან შრომისა და ცხოვრების უკეთესი პირობებისათვის ნაყოფიერ საქმიანობას. ასეთი ხელმძღვანელები უნდა ვამხილოთ, გავაკრიტიკოთ, მათგან უნდა მოვითხოვოთ პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ მინდობილ საქმეს, ხოლო უღირსებისა და გამოუსწორებლების შესახებ საჭიროა ვაცნობოთ ზემდგომ ორგანოებს.

განსაკუთრებული როლი და პასუხისმგებლობა ეკისრებათ პროფკავშირულ ორგანიზაციებს. ისინი მოწოდებული არიან შეუნელებლად იბრძოლონ წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისათვის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვისათვის, გამომგონებლობის და რაციონალიზაციის განვითარებისათვის. პროფკავშირულ მუშაკებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, შრომის ორგანიზაციის უკეთ დაყენება პროფკავშირების ღვიძლი საქმეა. პროფკავშირები უნდა იყვნენ საწარმოთა ცხოვრებაში წამოჭრილი ყველა მტკივნეული საკითხის კურსში, წარმოადგენდნენ ერთ-ერთ მთავარ ძალას მათი გადაწყვეტისათვის ბრძოლაში. მათ ყურადღება უნდა გაამახვილონ ხელფასის ნორმირების, შრომის დაცვის და უსაშიშრობის ტექნიკის საკითხებზე. მთელ თავიანთ საქმიანობაში პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა სრულად უნდა გამოიყენონ მათთვის მინიჭებული უფლება — განახორციელონ სახელმწიფო ზედამხედველობა შრომის შესახებ კანონმდებლობის დაცვაზე.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ზრუნვა საცხოვრებელ ბინებზე მშრომელთა გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. ისინი უნდა გამოდიოდნენ ბინათმშენებლობის გაფართოების ინიციატორებად, სწავლობდნენ მშრომელების ბინით დაკმაყოფილების საკითხებს, თვალყურს ადევნებდნენ, რომ არ ხდებოდეს მიკერძება ან რაიმე სხვა გაუგებრობა ბინების განაწილებაში. პროფკავშირულ ორგანიზაციებს, სამეურნეო ხელმძღვანელების მხარდაჭერით, ბევრის გაკეთება შეუძლიათ სახალხო მეთოდით — საკუთარი ძალებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ფართოდ გაჩაღებაში. ამ საქმეში მათ დაეხმარება გორკელებისა და ხარკოველების მდიდარი გამოცდილება, რის შესახებაც ვბეჭდავთ მასალებს ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში.

შეუნელებლად ვიბრძოლოთ 1958 წლის კოლექტიური ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, რაც საწარმოო გამარჯვებათა მოპოვების, მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების კარგი საწინდარია!

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ამერიკის გაზეთ „ჯორნელ ოფ კომერსის“ წარმომადგენლები ე. რიდერი და ჰ. ლუდიკე

22 მარტს საბჭოთა კავშირის კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. „ჯორნელ ოფ კომერსის“ მფლობელი გაზეთის რედაქტორი პეინიც ლუდიკე, მათთან. (საკვლევი).

კომუნისტური პარტიის ცენტრალური ხრუშჩოვმა მიიღო ამერიკის გაზეთ და გამომცემელი ერიკ რიდერი და ამ მათი თხოვნით, და საუბარი ჰქონდა

ჩვენი ბავშვებისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ ბავშვის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისა შესახებ ფართო გამოხმაურება გამოიწვია თბილისის მშრომელებში. დედები — დიასახლისები, სამკერვალო და ფეხსაცმლის ფაბრიკების მუშები, მეტრიკოტაჟეები და ფეიქრები ერთსულოვნად მიესალმებიან პარტიისა და მთავრობის მიერ ჩვენი ბავშვების ლაღად აღზრდისათვის დასახულ ღონისძიებებს და ეს მიაჩნიათ საბჭოთა ხალხის ბედნიერებისათვის, მომავალი თაობის აღზრდისათვის მშობლიური მზრუნველობის ახალ გამოვლინებად.

დადგენილებაში დასახული ამოცანების განსახორციელებლად, უახლოეს ორ წელიწადში ბავშვის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოების ისე გასაადიდებლად, რომ მთლიანად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილება, უკვე შეუდგენენ კონკრეტულ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების შემუშავებას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის სამმართველოებში. დასახულია სამუშაოთა ფართო პროგრამა გემოვნებით შეკერილი, მოხდენილი ფასონებისა და ახალი მოდელების მიხედვით ბავშვის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გამოშვების მკვეთრად გადიდებისათვის.

ფეხსაცმლის ფაბრიკებში, სამკერვალო, საფეიქრო და სატრიკოტაჟო საწარმოებში დაწყებულია მუშაობა საბავშვო ასორტიმენტის ნაწარმის გამოშვების გადიდებისათვის ადგილობრივი რეზერვების გამოსანახავად.

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში

★ ★ ★ ★ ★

ლაპარაკობენ მაყურებლები

ვუსურვებთ დიდ შემოქმედებით წარმატებას

უძველესი რუსული თეატრის კოლექტივი განსაკუთრებული სიხარულით ხვდება თავის სცენაზე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობებს და რეჟისორებს. ჩვენ გვაკავშირებს მტკიცე და დიდი ხნის შემოქმედებითი მეგობრობა. აქ, მცირე თეატრის სცენაზე, გამოჩენილმა ქართველმა რეჟისორმა მარჯანიშვილმა განახორციელა შილერის დრამის „დონ-კარლოსის“ დადგმა, რომელიც მეტად საინტერესო და შთამბეჭდავი სპექტაკლი იყო.

კიდევ იმიტომ გვიხარია ქართული დეკადის მონაწილეთა შეხვედრა, რომ მცირე თეატრის სცენაზე მიმდინარეობდა შესანიშნავი შემოქმედებითი მოღვაწეობა გამოჩენილი მსახიობის, დრამატურგის, თეატრის მკვლევარის ა. იუჟინ-სუმბათაშვილისა, რომელსაც განუზომლად უყვარდა საქართველო.

ჩვენ, რუსული თეატრის მოღვაწენი, სულითა და გულით ვუსურვებთ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილეთ დიდ შემოქმედებითს წარმატებებს.

დაე გაიფურჩქნოს საქართველოს შესანიშნავი ხელოვნება, ნიჭიერი ქართველი ხალხის ხელოვნება!

მ. ცარევი,

სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის დირექტორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

გულითადი სალამი საქართველოს წარგზავნილებს

ჩვენ, მოსკოვის თეატრების მსახიობებს, ხელოვნების მოღვაწეებს ღრმად გვაღელვებს შეხვედრა ქართველ კოლეგებთან, მზიური საქართველოს ხელოვნების წარმომადგენლებთან. ჩვენ ყოველთვის დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალყურს საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებას, მივესალმებით ყველა მის მიღწევას.

საქართველოს ხელოვნება ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ეროვნული ხელოვნებაა. დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს ქართველ ხალხსა და რუს ხალხს, მათი ხელოვნებისა და ლიტერატურის პროგრესულ წარმომადგენლებს. მაგრამ ეს მეგობრობა განსაკუთრებით მჭიდრო და მტკიცე გახდა ჩვენი ქვეყნების ერთ დიდ ძმურ კავშირში გაერთიანების შემდეგ. ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გატარებამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. მან გააღვიძა ხალხის შემოქმედებითი ძალები, განავითარა მისი ენერგია. ეროვნული ფორმის სხვადასხვაობის მიუხედავად, სოციალისტური საქართველოს კულტურა საბჭოთა კულტურის შემადგენელი ნაწილია. ჩვენ ერთხმირად გვიყვარს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ყველაზე ჰუმანიური საბჭოთა ხელოვნება. ჩვენი ხელოვნება გამოხატავს ახალი ცხოვრების შემქმნელი მილიონობით ადამიანის აზრებს და გრძნობებს, მათს პროგრესულ მისწრაფებებს. ჩვენ, მოსკოველები, დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დათვალიერება სასიხარულო ზეიმი იქნება, რომ ჩვენი ძვირფასი სტუმრები კვლავ გაგვახარებენ თავიანთი ნათელი და საინტერესო ეროვნული კულტურით.

ვ. გოგოლევა,

სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

აღმაფრთოვანებელი ოპერა

გაგვიტაცა ეროვნული კოლორიტით გამსჭვალული ოპერის „დაისის“ შთამაგონებელმა მელოდიებმა. განსაკუთრებით მოგვეწონა შემსრულებელთა ოსტატობა, მხატვრული გაფორმება, ტემპერამენტული და ამავე დროს ნაზი ქართული ცეკვები.

მოხარულები ვართ, რომ შესაძლებლობა მოგვეცა ჩვენი ქვეყნის საყვარელ დედაქალაქში დავსწრებოდით მოძმე ქართველი ხალხის კულტურის ზეიმს.

ი. იბრაგიმოვი,

უზბეკეთის სსრ ტაშკენტის ოლქის ვერხნე-ჩირჩიკის რაიკომის მდივანი,

დ. იბრაგიმოვი,

ამავე რაიონის ჯამბულის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ოპერა „დაისი“

განუმეორებლად თავისებურია ქართული ხალხური მუსიკა. ჟანრებითა და ფორმებით მდიდარ და მრავალფეროვან სიმღერაში გამოხატულება ჰპოვა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანმა ბრძოლამ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მისმა მორალურმა სულიერებამ და სულის სიმტკიცემ, შრომისმოყვარეობამ, მამაცობამ და გმირობამ.

ქართული სიმღერის მრავალხმოვანება და ამით განპირობებული განვითარება ხალხური საგუნდო სიმღერისა, რომელსაც შესანიშნავი მიღწევები აქვს, გახდა ის მადლიანი ნიადაგი, რომელზეც გაიფურჩქნა საქართველოს კომპოზიტორთა თვითმყოფი შემოქმედება.

გუშინ მოსკოვში გახსნილი ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის პირველი სპექტაკლისათვის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა აირჩია ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“ — ეროვნული მუსიკალური კლასიკის ერთ-ერთი მწვერვალი. მშვენიერი არჩევანია! ეს ოპერა პირველად დაიდგა 1923 წლის დეკემბერში და აი უკვე თითქმის ოცდახუთმეტი წელია არ სცილდება სცენას, მუდამ სარგებლობს უდიდესი წარმატებით. ოპერის მომხიბლავი მუსიკა გამსჭვალულია ქართული ხალხური ჰანგებით. დაკვირვებული მსმენელი ამ ოპერაში არა მარტო საამო მელოდიებს ნახავს, იგი იგრძნობს სამხრეთის ღამის ტკბილ სურნელებასაც, ფართო ველების სილაღესაც, მთის ბუნების მკაცრ სილამაზესაც. გმირების ღრმა, დრამატულ დახასიათებასთან, მათი გრძნობებისა და განცდების ემოციურ განსახიერებასთან შეხამებულია ხალხის ცხოვრების ცოცხალი მკაფიო სურათები.

ამ ჭეშმარიტად ხალხური ნაწარმოების თავისებურ მუსიკალურ დრამატურგიას საფუძვლად უდევს ეპიკურად მკაცრი, დიადი გუნდების, სწრაფი, ცეცხლოვანი ხალხური ცეკვების, მკვირცხლი და მხიარული შაირებისა და ფართოდ განვითარებული არიოზული ფორმების დაპირდაპირება.

წინააღმდეგობათა ორი კვანძი ახასიათებს ოპერის შესაარსს. ნაზი მაროს და ვაკაცი მალხაზის სიყვარულს ამსხვრევს შუასაუკუნეობრივი ზნე-ჩვეულებები. ძველის გადმონაშთი — ღარსების ფეოდალური გაგება იწვევს სამშობლოსა და მშობელი ხალხის წინაშე მოვალეობის დავიწყებას. მალხაზი შურისძიების მსხვერპლი ხდება. უდანაშაულო ადამიანის მკვლელად სახელოვანი მხედართუფროსი კიაზო გამოდის. უაღრესად უბედური რჩება მარო, რომელმაც სატრფო დაკარგა. და თუმცა ზ. ფალიაშვილი და მისი თანაავტორი ლიბრეტისტი ვ. გუნია თავიანთ პერსონაჟებს მორალის შემცველ არავითარ სენტენციებს არ ათქმევინებენ, ოპერის პროგრესული იდეური მიზანდასახულობა მაინც უეჭველია. თვით ტრაგიკული ბედი გმირებისა — სულიერად ჯანსაღი, მტკიცე და სპეტაკი ადამიანებისა — წინააღუდგება იმ ბორკილებს, რომლებიც ბოჭავენ თავისუფალ ადამიანურ გრძნობას, წინააღუდგება ძველი დროის იმ ნამთებს, რომლებიც ამახინჯებენ ადამიანის ცხოვრებას, უნუგეშო მწუხრად აქცევენ მის ნათელ გზას.

ეს იდეა ხაზგასმულია კიდევ იმით, რომ ოპერის მთელი მოქმედება გაშლილია უნაპირო სივრცეებში, მთის დიადი პეიზაჟის ფონზე. ბუნების ამ უნაპირობისადმი რა კონტრასტად გაისმის კიაზოს სიტყვები მალხაზისადმი: „ეს ქვეყანა ჩვენ ორისათვის ვიწრო გახდა“. ძველი ყოფის ცრურწმენები, პირობითობა უცხოა ხალხისათვის—ასეთია „დაისის“ ავტორის დასკვნა.

გუშინ ნაჩვენები სპექტაკლი გვახარებს მაღალი თეატრალური და მუსიკალური კულტურით. მის დამდგმელს ვ. ტაბლიაშვილს კარგად უგრძნია ქართული მუსიკის კლასიკოსის ოპერის მკაცრი და სპეტაკი ემოციური წყობა. ამიტომ ასე კეთილშობილური და თავშეკავებულია მთავარ გმირთა სახეები, ამიტომ რეჟისორული შთანაფიქრით მდიდარი მასობრივი სცენების მთელი სიმკეთილისა და ფერადოვნობის მიუხედავად მათში მუდამ იგრძნობა გრაფიკულად მკაფიო კომპოზიცია.

ღრმად შეუგრძვნია „დაისის“ გამჭვირვალე, კოლორიტული პარტიტურის სილამაზე დირიჟორ დ. მირცხულავას, რომელსაც მტკიცედ მიჰყავს სპექტაკლი.

სადა და პოეტურად შთაგონებულია, ისევე როგორც ოპერის თვით მუსიკა, მხატვარ ი. სუმბათაშვილის დეკორაციები.

შთაგონებულად მღერის გუნდი (მთავარი ხორმეისტერი — ე. ტერიშვილი). იშვიათად შეიძლება მოისმინოთ ასეთი მწყობრი ქღერადობა. რბილად, უაღრესი გულითადობით ასრულებს იგი პირველი მოქმედების ლირიკულ სიმღერას, გატაცებით — ფერხულს; ჩინებულად ქღერს ხმების შეწყობით რთული სიმღერა „ალიფაშა“, მეტად ამაღელვებელია დიდი პატრიოტული სცენის დრამატიზმი მეორე მოქმედებაში.

დიდხანს დასამახსოვრებელია მაროს სახე, რომელიც შექმნა თ. თაქთაქიშვილმა. აი იგი სცენაზეა თავის დობილთან მხიარულ ნანოსთან ერთად (მსახიობი ა. მურადოვა). მაროს სტანჯავს ხანგრძლივი დაშორება თავის სატრფოსთან. სურს შეხვდეს მას და ეშინია: მალხაზის სხვაგან ყოფნის დროს ხომ იგი დანიშნეს კიაზოზე, რომელიც არ უყვარს. მაგრამ შორიდან შემოესმის თუ არა მალხაზის ხმა, მარო გარდაქმნება. ახლა იგი ბედნიერების განსახიერებაა. პირველი შეხვედრის სიხარულს არ გაუვლია, და ქალიშვილს კვლავ შიში და სასოწარკვეთილება შეიპყრობს. შიში მალხაზის სიცოცხლისათვის მწუხარებაზე უფრო ძლიერია, და მარო გადაწყვეტს განშორდეს სატრფოს.

გამომეტყველად, დახვეწილად, თავშეკავებულად გვიხატავს ახალგაზრდა მსახიობი თავისი გმირის რთულ განცდებს. მოქნილად, უზადო ინტონაციური სიზუსტით ქღერს მისი ხმა.

ზ. ანჯაფარიძის დიდი წარმატებაა მალხაზის პარტიის შესრულება. მსახიობს რბილი ტემბრის ტენორი აქვს, რომელიც თანაბრად და თავისუფლად ქღერს ყველა რეგისტრში. მალხაზის სახე, რომელიც მან შექმნა, სულიერი კეთილშობილებით, ჭაბუკური მგზნებარებით გამოირჩევა. გულში ჩამწვდომად მღერის მსახიობი ოპერის პირველი მოქმედების დამამთავრებელ არიას („თავო ჩემო“) და მალხაზის უკანასკნელ არიოზოს — სიცოცხლესთან და ძვირფას მაროსთან გამოსალმებას; დრამატულია მსახიობი კიაზოსთან შეჯახებისა და ორთაბრძოლის სცენაში.

კიაზოს პარტიას გუშინდელ სპექტაკლში პ. ამირანაშვილი ასრულებდა. ოცი წლის წინათ, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მომღერალი, იგი მონაწილეობას იღებდა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების პირველ დეკადაში. ახლა პ. ამირანაშვილი სსრ კავშირის სახალხო არტისტია, საოპერო სახეების გალერეის შემქმნელი.

პ. ამირანაშვილი კიაზოს მხატვრულად დამთავრებულ, სრულყოფილ სახეს ქმნის. ეს არის ნებისყოფიანი ადამიანი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი ღირსება და იცის თავისი ფასი. კიაზოს როლის ასეთი გაგება უეჭველად შეესაბამება კომპოზიტორის შთანაფიქრს, რომელმაც თავის გმირს ლამაზი, მელოდიური პარტია შეუქმნა.

მკაფიოდ ასრულებს მსახიობი ვ. ხამაშურიძე ცანგალას კოლორიტულ როლს, რომელიც მხიარული და ოხუნჯი სოფლელის ნიღბით შურიანი და ავყია ადამიანის ნამდვილ სახეს ფარავს.

ბრწყინვალედ დადგმულია და სრულდება ოპერაში ცეკვები (დამდგმელი — ი. სუხიშვილი): მკაცრი მამაცური ფერხული, ხვესურული მხედრული და მგზნებარე ქართული, რომელშიც განსაკუთრებით გამოირჩევიან გრაციოზული და მოხდენილი ა. დვალი და ვირტუოზული ვ. გუნაშვილი.

კარგად ქღერს თეატრის ორკესტრი, რომელიც, სამწუხაროდ, ზუსტი ვერ არის სასულე ინსტრუმენტების პარტიებში. დასანანებელია, რომ გამოტოვებულია მშვენიერი საორკესტრო ინტერმეცო „აისი“.

ოპერა „დაისი“ ქართული მუსიკალური კლასიკის ერთ-ერთი ყველაზე რომანტიკული და ლირიკულად ამაღელვებელი ნაწარმოებია. სამართლე, ღრმა ადამიანურობა, რომლითაც თბილისის თეატრის მსახიობები ხსნიან ოპერის გმირთა სახეებს, ოსტატობა, რომლითაც ასრულებენ ისინი ძნელ, უხვად ორნამენტირებულ პარტიებს, დასასრულ, დამდგმელთა ღრმად ჩაწვდომა ოპერის იდეურ შინაარსში მოწმობს თეატრის დიდ შემოქმედებითს სიმწიფეს, მოწმობს იმას, რომ ამ თეატრს შეუძლია დაძლიოს კიდევ უფრო რთული და პასუხსაგები ამოცანები. ეს არის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივის მომავალი ახალი წარმატებების, მის მსახიობთა რეალისტური ოსტატობის შემდგომი სრულყოფის საწინდარი.

კ. საკვა.

(„პრავდა“, 22/III).

გაიხსნა ქართული კინოფიღმების ფესტივალი

მოსკოვი, 21 მარტი. (ხაქდესის სპეც. კორ.). დღეს დედაქალაქის ერთ-ერთ უდიდეს კინოთეატრში — „დამკვირვებლის“ საზეიმო ვიოთარებაში გაიხსნა ქართული კინოფილმების ფესტივალი.

შეკრებილნი ერთსულოვანი ტაშით მიესალმნენ ქართველ კინომუშაკთა დიდ ჯგუფს — მ. ჭიაურელს, ს. დოლიძეს, ი. სანიშვილს, კ. პიპინაშვილს, ოპერატორ ფ. ვისოცკისა და სხვებს, რომელნიც დარბაზში გამოჩნდნენ.

კინოფესტივალის გახსნისას მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს კულტურის სამმართველოს უფროსის მოადგილე ტ. ლამოსოვა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს და მოსკოვის საბჭოს სახელით გულითადად მიესალმა სტუმრებს და მათი სახით ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ყველა მუშაკს.

რუსეთის სფსრ კულტურის სამინისტროს სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სამინისტროს კოლეგიის წევრმა ა. ფილიპოვმა.

საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, კინორეჟისორმა ს. დოლიძემ მადლობა გადაუხადა მაყურებელთ გულთბილი შეხვედრისათვის, უამბო მათ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალ ნაწარმოებთა შესახებ.

დასასრულ მაყურებლებს უჩვენეს ახალი მხატვრული ფილმი „საბუდარელი ჭაბუკი“. ფილმს გულთბილად შეხვდნენ კინომაყურებლები.

სსრ კავშირის დიდ თეატრში 21 მარტს. სცენა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისის“. პირველი მოქმედებიდან.

ფოტო ა. პახომოვისა და ვ. ვოლოდკინისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ XVIII ყრილობის მითითებათა შესასრულებლად

გორკისა და ხარკოვის საწარმოთა კოლექტივების გამოცდილება

როგორ უნდა ვაშენოთ საცხოვრებელი

„9. მოწონებულ იქნას ქალაქ გორკის და მთელი რიგი სხვა ქალაქების სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშათა და მოსამსახურეთა თაოსნობა საკუთარი ძალებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში, როგორც დასაწყისი ხაყოველთაო-სახალხო მოძრაობისა სახინაო პირობების უსწრაფესი გაუმჯობესებისათვის, როგორც მაღალი სოციალისტური შეგნების მაგალითი.

სახინაო მშენებლობის განვითარების მიზნით საჭიროდ იქნას მიჩნეული ყოველი ღონისძიებით წახალისება საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა სამრეწველო საწარმოების და ორგანიზაციების მუშებისა და მოსამსახურეების ძალებით, როგორც სახინაო მშენებლობის მოცულობის გადიდებისა და საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის დაჩქარების ერთ-ერთი გზისა“...

(სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წ. 31 ივლისის დადგენილებიდან სსრ კავშირში სახინაო მშენებლობის განვითარების შესახებ).

• • •

„ყრილობა ავალებს ყველა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს მიიღონ გადამწყვეტი ღონისძიებანი იმისათვის, რომ ვადამდე შესრულდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება რესპუბლიკაში სახელმწიფო მშენებლობის ხაზით სულ ცოტა 2,1 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის და ინდივიდუალური მშენებლობის ხაზით 1,9 მილიონი კვადრატული მეტრის ექსპლოატაციოდ გადაცემის შესახებ“...

(საქართველოს კპ XVIII ყრილობის რეზოლუციიდან).

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ გორკში, ხარკოვსა და მოსკოვში მიავლინა თავისი წარმომადგენლები სახინაო მშენებლობის სხვადასხვა საკითხების შესასწავლად, განსაკუთრებით კი საწარმოთა კოლექტივების მიერ საცხოვრებელი სახლების საკუთარი ძალებით აშენების საკითხებზე. ახალი სამრეწველო საწარმოების შექმნასთან ერთად წარმოიშვნენ მუშათა საცხოვრებელი ახალი უბნები, დაბები, მთელი ქალაქები. წარმოუდგენლად გაიზარდა მოთხოვნილება ბინებზე, მაგრამ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, სახინაო მშენებლობის არსებულ მოთხოვნილებასთან შეუფარდებლობის გამო, ფერხდებოდა.

მარტო უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში გორკის საავტომობილო ქარხნის — საბჭოთა კავშირში და მთელ ევროპაში ამ უდიდესი საავტომობილო საწარმოს კოლექტივს გადაეცა 600 ათასი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფონდი. 1956 წელს გორკელი ავტომობილმშენებლებისათვის აგებულ იქნა 45 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობის შემცველი სახლები.

მაგრამ ყოველივე ეს არ კმაროდა.

გორკის საავტომობილო ქარხნის მარტო ერთ საწნეხე კორპუსში 700 მუშა ჰყავდათ ისეთი, რომლებიც იძულებული იყვნენ ეცხოვრათ დროებითს ბარაკებში ან დაქირავებულ ბინებში.

— ყველაზე მეტ დროს, — გაანაცხადა ამხ. პ. ჩერნეევმა — საავტომობილო ქარხნის საწნეხე კორპუსის უფროსმა, — მართმევდა ჩვენივე კორპუსის მუშათა საჩივრები იმის შესახებ, რომ მათთვის გაგვეწია დახმარება სახინაო პირობების გაუმჯობესებაში. მოვიდა ჩემთან, მაგალითად, ზეინკალი მალკოვი, პატივსაცემი მუშა, საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებული, რომელიც სადღაც ქალაქს გარეთ დაქირავებულ პატარა ოთახში ცხოვრობდა, და მითხრა: — არ მინდოდა შემეწუხებინეთ, მაგრამ ძალიან გამიჭირდა, იქ ცხოვრება შეუძლებელია. დამეხმარეთ, ამხანაგო ჩერნეევ!

ვიცოდი რა, რომ ამხ. მალკოვს მართლაც ცუდ პირობებში უხდებოდა ცხოვრება, დავპირდი, რომ რაც კი შემეძლო დავეხმარებოდი. დავპირდი, მაგრამ თან ვფიქრობდი—აბა, რა შემიძლია, ათიოდე ბინა, რომლებსაც წელს მშენებლები ჩაგვაბარებენ, რამდენს უნდა გავაწვდინოთ? სწორედ იმ ხანებში დაგვებადა აზრი, რომ საცხოვრებელი სახლების აგება დაგვეწყო ჩვენივე კორპუსის მუშების ძალებით.

ბევრი სიძნელე შეგვხვდა, მაგრამ თურმე შეუძლებელი არაფერია, მტკიცედ დარაზმულ კოლექტივს ყველა დაბრკოლების გადალახვა შეუძლია...

მთავარი, გადამწყვეტი პირობა

ბინათმშენებლობის დიდი გამოცდილება აქვთ გორკისა და ხარკოვის მრავალ საწარმოში. გორკელი ავტომობილმშენებლების წამოწყებამ ამ ქალაქებში ფართო გამოხმაურება ჰპოვა, და ამიტომ გორკსა და ხარკოვში თითქმის არ არის დარჩენილი არც ერთი საწარმო, დიდი იქნება ის თუ პატარა, რომელიც საკუთარი ძალებით არ აშენებდეს საცხოვრებელ სახლებს. ზოგ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ეს არ არის მიზანშეწონილი და გამართლებული, რადგან ადგილი აქვს არსებული წესების დარღვევებს.

იმისათვის, რათა საწარმოს კოლექტივი შეუდგეს საკუთარი ძალებით საცხოვრებელი სახლის მშენებლობას, უწინარეს ყოვლისა საჭიროა საწარმოს რენტაბელური მუშაობა. ეს არის მთავარი პირობა, რომელსაც ზოგიერთ საწარმოში არ იცავენ. სახალხო მშენებლობისათვის საჭირო თანხებს ძირითადი წყაროა საწარმოს ფონდი და ზეგეგმითი დაგროვების თანხები. ამისათვის კი, როგორც ცნობილია, საჭიროა საწარმო აარულებდეს სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმას დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით; იგი უნდა ასრულებდეს აგრეთვე დავალებას პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შესახებ და ამასთან დაგროვების გეგმას. სახალხო მშენებლობის სათანადო საშენი მასალებით მომარაგების ძირითადი წყაროა საწარმოში ყოველგვარი მასალის ეკონომიური ხარჯვა და წარმოების ნარჩენების გამოყენება.

სახალხო მეთოდით ბინათმშენებლობის გაჩაღება აძლიერებს მუშების მატერიალურ დაინტერესებას საამქროს, ქარხნის ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის, უფრო თვალსაჩინოს ხდის კოლექტივის ბრძოლის ეფექტურობას ეკონომიისათვის, ზეგეგმიური დაგროვებისათვის.

გორკის საავტომობილო ქარხანაში მიმდინარე წელს შემოიღეს ასეთი წესი: სახალხო მეთოდით სახლის მშენებლობაზე დაიშვებიან მხოლოდ ის საამქროები, რომელთაც სამეურნეო საქმიანობაში მაღალი საწარმოო მაჩვენებლები აქვთ და აქტიურად იბრძვიან თანხებისა და მასალების ეკონომიისათვის. ამჟამად ქარხნის საამქროებში გაჩაღებულია ბრძოლა იმისათვის, რომ ყოველმა მუშამ მიმდინარე წლის განმავლობაში გასწიოს არა ნაკლები ათასი მანეთის ეკონომია მასალების რაციონალურად ხარჯვისა და წუნის შემცირების გზით.

ამრიგად, სახელმწიფოებრივი ინტერესები სავსებით ემთხვევა წარმოების მუშათა პირად ინტერესებს.

საწარმოს კოლექტივი სიახლხორცეულად არის დაინტერესებული იმით, რომ აამაღლოს შრომის ნაყოფიერება, ნაკლები მუშახელით მეტი დოვლათი შექმნას, გასწიოს მომჭირნეობა ყოველ საქმეში, აღკვეთოს წუნი, რათა საწარმომ მეტი ზეგეგმითი დაგროვება მიიღოს და აქედან ბინათმშენებლობა დააფინანსოს.

შრომის ნაყოფიერების ამაღლება ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვების, თვითღირებულების შემცირების, ეკონომიის მიღწევის საწინდარია. შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად კი საჭიროა მასების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება, რაციონალიზატორული მუშაობის წახალისება და ფართოდ გაჩაღება.

სახალხო მეთოდით საცხოვრებელი სახლების მშენებლობა საწარმოს კოლექტივს აძლევს იმის სტიმულს, რომ შეუნელებლივ იბრძოლოს შრომის გაუმჯობესებული მეთოდების დანერგვისათვის, მოწინავე გამოცდილების გავრცელებისათვის, ეძიოს და გამოავლინოს ახალი შესაძლებლობანი მაღალრენტაბელური მუშაობის უზრუნველსაყოფად.

ასე იყო გორკის საავტომობილო ქარხანაში და ამ მხრივ მათი მაგალითი მისაბაძია.

გორკის საავტომობილო ქარხნის საწნეხე კორპუსის კოლექტივის წამოწყებამ ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია. გამოჩნდნენ მეწნეხეთა მიბაძაველები. საწარმოებში შეუდგნენ სახინაო მშენებლობის საკუთარი ძალებით გაჩაღებისათვის ადგილობრივ შესაძლებლობათა გამოვლინებას, მეწნეხეთა გამოცდილების დანერგვას.

თავიდანვე საქმეს სათავეში ჩაუდგნენ ადგილობრივი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები.

გორკის, შემდეგ ქალაქ ხარკოვის პარტიკომებში და საქალაქო კომიტეტებში წესად იქნა შემოღებული ბიუროს სხდომაზე საწარმოთა დირექტორების, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, აგრეთვე პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნების საანგარიშო მოხსენებების მოსმენა იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რა უშლის ამ საქმეს ხელს, რა უნდა გაკეთდეს სახინაო მშენებლობის საქმის წარმატებისათვის.

რაში გამოიხატება პარტიის რაიონული კომიტეტების როლი სახალხო მეთოდით სახლების მშენებელთათვის დახმარების გაწევაში? ამის შესახებ უკრაინის კპ ხარკოვის ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. კარაჩენცევმა მოგვითხრო:

—„ჩვენს რაიონში ჭარბობენ საშუალო და პატარა საწარმოები. მათი კოლექტივები დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ გორკელების ინიციატივას, გადაწყვიტეს თვითონაც შესდგომოდნენ საცხოვრებელი სახლების მშენებლობას. ამის თაობაზე რაიკომმა მოიწვია რაიონის საწარმოთა სამეურნეო-პარტიული აქტივის კრება. აქტივმა მიიღო დადგენილება 1957 წლის განმავლობაში 20 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის აგების შესახებ. საწარმოთა მუშებისაგან მშენებელთა კადრების მოსამზადებლად მოვაწყეთ წრეები, კურსები, სადაც მუშები დიდი ხალისით სწავლობდნენ.

ამ საშუალებით მშენებელთა კადრებით უზრუნველყოფილი ვიყავით. გამოვნახეთ ფულადი საშუალებებიც, რაც გაგვიადვილა საწარმოთა რენტაბელურმა მუშაობამ. დიდ სიძნელეებს წავაწყდით საშენი მასალების გამონახვაში. ქ. ხარკოვის ლენინის რაიონში აგურის ორი ქარხანა მუშაობს. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა შეისწავლა ამ ქარხნების მუშაობა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თუ იქ დამატებით ზოგი დანადგარი დაიდგმებოდა, შეიძლებოდა ბევრად მეტი აგურის მიღება. რაიკომის ინიციატივით მოვაწყეთ მეზობელი მანქანათმშენებელი ქარხნების შეფობა აგურის ქარხნებზე, რამაც კარგი შედეგი მოგვცა. მარტო 1957 წლის პირველ კვარტალში მეაგურეებმა შეფების დახმარების შედეგად გეგმის გადამეტებით 3 მილიონი ცალი აგური მოგვცეს, ხოლო აქედან დიდი ნაწილი სახალხო მეთოდით სახლების მშენებლებმა მიიღეს.

ბინათმშენებელი საწარმოებიდან მუშები დავახმარეთ რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანას, სადაც მოვაწყეთ მესამე ცვლა და ამ ცვლაში გამოშვებული ასაწყობი სამშენებლო კონსტრუქციებით მოვამარაგეთ საკუთარი ძალებით საცხოვრებელი სახლების მშენებლები.

ყოველივე ამასთან პარტიის რაიონულმა კომიტეტმა დახმარება გაუწია საწარმოებს, რომ გაერთიანებული ძალებით და რესურსებით მოეწყოთ ნარჩენებისაგან საშენი მასალების, კერძოდ წიდაბლოკების დამზადება. ამიტომ იყო, რომ ჩვენი რაიონის პატარა საწარმოთა კოლექტივებმა 1957 წლის 7 ნოემბრისათვის დაამთავრეს 112 საცხოვრებელი სახლის აგება, ახალ ბინებში შეასახლეს 767 მუშის ოჯახი“.

სახალხო მეთოდით საცხოვრებელი სახლების მშენებლობის წარმატებას ხელს უწყობს და გაანაპირობებს მთელი საზოგადოებრიობის მიერ ამ საქმისათვის თჯიზლად თვალყურის დევნება. მშენებლობის მიმდინარეობას განუწყვეტლივ მეთვალყურეობენ პარტიული ორგანიზაციები, ხოლო ორგანიზატორულ-სამეურნეო მუშაობას წარმართავენ საწარმოს კოლექტივის საერთო კრების მიერ არჩეული ან საქარხნო პროფკავშირული კომიტეტის მიერ დამტკიცებული სახალხო მეთოდით სახლების მშენებლობის ხელშემწყობი საბჭოები.

ხელშემწყობი საბჭო

მშენებლობის ხელშემწყობ საბჭოს მშენებლობის მასშტაბის მიხედვით ირჩევენ 5-დან 40-მდე წევრის შემადგენლობით ქარხანაში ყველაზე პატივსაცემ, ავტორიტეტიან ადამიანთაგან. საბჭოს შემადგენლობაში წარმოდგენილი არიან ქარხნის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, საამქროთა კოლექტივები და სახალხო მეთოდით სახინაო მშენებლობაში მონაწილეთა წარმომადგენლები. ქალაქ ხარკოვში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოსთან ჩამოყალიბდა სახალხო მეთოდით საცხოვრებელი სახლების მშენებელთა ხელშემწყობი საქალაქო კომისიაც.

საქარხნო ხელშემწყობი საბჭო, გარდა კონტროლის ფუნქციისა, ასრულებს უმთავრესად მშენებლობის ორგანიზატორის ფუნქციებს, აწესრიგებს ცალკე საამქროთა ურთიერთ დამოკიდებულებას მშენებლობის საქმეში და ახორციელებს მათს კოორდინირებას. მაგრამ საქარხნო ხელშემწყობი საბჭო არ არის ყოვლისმომცველი ორგანო, რომელსაც შეეძლოს საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელობის შეცვლა. საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელობას მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება სახალხო მშენებლობის წარმოებაში.

ხელშემწყობი საბჭო ახორციელებს მშენებლობისადმი საზოგადოებრივ კონტროლს, შეაქვს წინადადებები ამა თუ იმ საკითხის მოსაწესრიგებლად, აერთიანებს ცალკე საამქროებისა და ნაგებთა კოლექტივების ღონისძიებებს, აწესრიგებს საერთო საქმეს.



ხარკოვი. მიუხედავად ცივი ამინდისა, მალიშევის სახელობის ქარხნის მუშები მაინც არ აცდენენ დროს, ცვლაში მუშაობის შემდეგ სისტემატურად გადიან მშენებლობაზე.

საქარხნო ხელშემწყობ საბჭოსთან შეიძლება შეიქმნათ სხვადასხვა სექციები ან ჯგუფები.

1) **არქიტექტურულ-ტექნიკური სექცია**, რომელსაც ევალება გამონახოს სამშენებლო მოედანი, დაამუშაოს სამუშაო პროექტები და ნახაზები, მოახდინოს გეოდეზიური აგეგმვა, უზრუნველყოს ტექნიკური დოკუმენტაციის მომარაგება;

2) **საფინანსო-ეკონომიური სექცია** ამუშავებს მშენებლობის დასაფინანსებლად ადგილობრივი რესურსების გამოყენების საკითხს, აგრეთვე ხელფასის ანაზღაურების სისტემას, ეძებს ეკონომიის გაწევის საშუალებებს მშენებლობისათვის მეტი თანხების გამოსანახავად. მაგალითად, ამ სექციის ინიციატივით გორკის საავტომობილო ქარხანაში მოწვეულ იქნა ეკონომიური კონფერენცია და გამონახულ იქნა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ამ გზით მნიშვნელოვანი თანხის ეკონომიის ახალი შესაძლებლობანი.

3) **მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების** სექცია მუშაობს საშენი მასალების გამოხახვაზე, ეცნობა საშენ მასალათა საწარმოების მუშაობას, არკვევს, თუ საშენ მასალათა მწარმოებელ რომელ საწარმოს რა დახმარება სჭირდება ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის, შეუძლიათ თუ არა მათ ეს დახმარება გაუწიონ, შეაქვს ამის შესახებ სათანადო წინადადებანი საბჭოში, ანაწილებს დაკვეთებს სხვადასხვა სამშენებლო დეტალების დამზადებაზე, არკვევს სხვა საწარმოებთან საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის საშენ მასალათა ურთიერთგაცვლის შესაძლებლობას და ა. შ.

4) **სატრანსპორტო-საგზაო სექცია** ხელმძღვანელობს სამშენებლო ობიექტების უზრუნველყოფას საავტომობილო და სხვა ტრანსპორტით, აწყობს მისასვლელ გზებს, ხელმძღვანელობს სამშენებლო მოედნების მოწყობას.

5) **სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის სექცია** მუშაობს სამშენებლო მექანიზმებით მშენებლობების აღჭურვისათვის.

6) **ელექტროტექნიკური სექცია** განაგებს შუქის გაყვანას, ელექტროტექნიკურ სამუშაოთა შესრულებას.

ვინ ხელმძღვანელობს მშენებლობას?

სახალხო მეთოდით საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სამუშაოებს ხელმძღვანელობს საწარმოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილება. მისი საშუალებებით ხდება მშენებლობათა დაფინანსება, საშენი მასალებითა და კონსტრუქციებით მომარაგება.

მშენებელთათვის ორგანიზაციული ხელმძღვანელობის გასაწევად საქარხნო სამმართველოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებასთან იქმნება „სახალხო მეთოდით სახლების სამშენებლო-სამონტაჟო უბანი“.

შეიძლება წამოიჭრას კითხვა: როგორ ხელმძღვანელობენ სახალხო მეთოდით სახლების მშენებლობას იმ საწარმოებში, სადაც საქარხნო სამმართველოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილება არა აქვს?

ასეთ საწარმოებში, როგორც გორკელებისა და ხარკოველების გამოცდილება ცხადყოფს, უმჯობესია მშენებლობის ხელშემწყობი საქარხნო საბჭო უფრო მცირე შემადგენლობისა იყოს (7-9 კაცი) და უარი ვთქვათ სექციების ჩამოყალიბებაზე. საბჭოს წევრებს შორის სამუშაო ისე უნდა განაწილდეს, რომ მშენებლობის ყველა დარგს მოიცავდეს. ასეთ საწარმოში მშენებლობის უშუალო ხელმძღვანელობა უნდა დაევალოს იმ ინჟინერს, რომელსაც დაკისრებული აქვს მშენებლობის საქმე. თუ ქარხანაში ინჟინერ-მშენებლის თანამდებობა შტატით გათვალისწინებული არ არის, მაშინ სახინაო მშენებლობის ხელმძღვანელად გამოყოფილ უნდა იქნას სამშენებლო საქმესთან ყველაზე უკეთ გაცნობილი ერთ-ერთი ინჟინერი, ტექნიკოსი ან უკიდურეს შემთხვევაში მუშა, რომელსაც სათანადო გამოცდილება აქვს.

მშენებლობის ხელშემწყობი საბჭოს არჩევა და მშენებლობის ხელმძღვანელობის (სამშენებლო-სამონტაჟო უბნის ან სპეციალისტი ინჟინრის) გამოყოფა უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ საწარმოს დირექტორი, საქარხნო პარტორგანიზაციის მდივანი და საქარხნო პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარე უშუალოდ ჩაუდგნენ სათავეში ამ საქმეს, პირადი დაინტერესება გამოიჩინონ და ყოველდღიურად ადევნონ თვალყური, რათა მშენებლობის შეფერხება არ დაუშვან.



ხარკოვი. შვიდსართულიანი სახლი, რომელიც დანგრეული იყო ომის დროს დაბომბვისას, საკუთარი ძალებით აღადგინა ხარკოვის ერთ-ერთი საპროექტო ინსტიტუტის ინჟინერ-ტექნიკოსთა ჯგუფმა.

• • •

მდივანი და საქარხნო პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარე უშუალოდ ჩაუდგნენ სათავეში ამ საქმეს, პირადი დაინტერესება გამოიჩინონ და ყოველდღიურად ადევნონ თვალყური, რათა მშენებლობის შეფერხება არ დაუშვან.

მუშახელის საკითხი

სახალხო მეთოდით მშენებლობის მთავარი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ მისი მონაწილენი აშენებენ სახლებს, სადაც თვითონვე იცხოვრებენ. აქვე შევნიშნავთ, რომ საწარმოებში შედგენილი აქვთ მშენებლობის პროგრამები იმ ანგარიშით, რომ უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში ყველა მუშა დააკმაყოფილონ ბინებით.

ამის შეგნება საწარმოს მუშებში აძლიერებს შრომითს ენთუზიაზმს, იმის მიდრეკილებას, რომ მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებით, ზედმიწევნითი ეკონომიის გაწევით მეტი რესურსები დააგროვონ ბინათმშენებლობისათვის.

ბინათმშენებლების შერჩევა, ე. ი. საკუთარი ძალებით ასაგები სახლების მშენებლობის მუშახელით უზრუნველყოფა ხდება შემდეგი წესით:

საქარხნო პროფკავშირულ კომიტეტებთან არსებული საყოფაცხოვრებო კომისიები, აგრეთვე საამქროთა პროფკავშირული კომიტეტები სწავლობენ ყველა მუშის სახინაო პირობებს, არკვევენ, ვის მეტად სჭირდება ბინა. ამასთან, აგროვებენ საამქროებში მუშათა განცხადებებს და შემდეგ მათ განიხილავენ საერთო კრებებზე. იმის მიხედვით, თუ ვის უფრო უჭირს ბინის სივიწროვის გამო, აგრეთვე იმის მიხედვით, თუ ვის რა საწარმოო სტაჟი, როგორი საწარმოო მაჩვენებლები აქვს, ადგენენ იმ მუშების სიებს, რომლებსაც ნება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ პირველი რიგის საცხოვრებელი სახლის აგებაში. აქვე განსაზღვრავენ ამა თუ იმ მუშისთვის ახალ სახლში მისაცემ საცხოვრებელ ფართობს. ზოგ საწარმოში მშენებლობის მონაწილე მუშას წინასწარვე ეუბნებიან, თუ რომელ სართულზე, რომელ ბინაში შესახლდება. ზოგან კი ბინების განაწილება ხდება შელესვის სამუშაოების დაწყებისას. ხარკოვში უმთავრესად წინასწარ ხდება ბინების განაწილება და ეს მშენებლობის წარმატების ერთ-ერთ სტიმულად მიიჩნიათ.

საწარმოს ის მუშები, რომლებიც შეტანილი არიან პირველი რიგის საცხოვრებელი სახლის მშენებელთა სიაში. გარკვეული ვადით გადაჰყავთ მშენებლობაზე. სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ეს მუშები კვლავ თავიანთ სამუშაო ადგილებს უბრუნდებიან.

მთელ რიგ საწარმოებში საცხოვრებელი სახლების აგებაში მონაწილეობის მისაღებად იგზავნებიან ის მუშებიც, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს ახალ სახლებში გადასულთა ყოფილ ბინებში შესახლდნენ და ამის ნებართვა მათ მისცა კოლექტივის საერთო კრებამ.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ყველას არ შეუძლია იმუშაოს ქედლის წყობაზე, შეასრულოს სხვადასხვა სამშენებლო სამუშაო. ამიტომ საწარმოებთან მოაწყეს მშენებელთა პროფესიების შემსწავლელი მოკლევადიანი წრეები, კურსები.

ახალ სახლში ბინას მიიღებს ის, ვინც ეს სახლი ააშენა. ეს პრინციპი მტკიცედ არის დაცული. მაგრამ გამონაკლისებს აქაც ვხვდებით. არის შემთხვევა, როცა საწარმო ამა თუ იმ მუშას ვერ შეელევა, რადგან ასეთი მუშის მშენებლობაზე გადაყვანა უარყოფით გავლენას მოახდენს საწარმოს მუშაობაზე. ასეთ შემთხვევაში ამ მუშის ნაცვლად მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება გაიგზავნოს მისივე ოჯახის რომელიმე სრულასაკოვანი წევრი, ან, თუ მუშას ასეთი არა ჰყავს, საწარმოს რომელიმე სხვა მუშა. ის მუშა კი, რომელიც საწარმოში დარჩა და რომლის მაგივრად მშენებლობაზე სხვა მუშაობს, ცვლაში მუშაობის დამთავრების შემდეგ გადის მშენებლობაზე სამუშაოდ.

მისაღები საცხოვრებელი ფართობის ყოველი კვადრატული მეტრის მიხედვით მენაშენე მუშისათვის სხვადასხვა ნორმებია დაწესებული. მაგალითად, გორკში ერთოთახიანი ბინის მისაღებად 300-320, ოროთახიანი ბინის მისაღებად 400-420 დღის ნორმის გამომუშავებაა საჭირო, ხარკოვში კი ყოველი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის მისაღებად დაწესებულია 40 ნორმა-საათის გამომუშავება. ეს იმას ნიშნავს, რომ მენაშენემ უნდა შეასრულოს ისეთი მოცულობის სამუშაო, რამდენიც სამშენებლო ნორმების მიხედვით გამომუშავებული უნდა იქნას 40 საათში, თუნდაც მენაშენე მას მეტ დროს მოუნდეს.

შრომის ორგანიზაციის შესახებ

მოვიყვანთ გორკელების მაგალითს:

გორკელებმა პირველი 24-ბინიანი სახლის ასაგებად საწნეხე კორპუსიდან გამოჰყვეს 24 კაცი, მათ შორის 16 კაცი გაათავისუფლეს საწარმოდან, გადაიყვანეს მშენებლობაზე, სადაც მათგან ჩამოყალიბდა მუდმივი სამშენებლო ბრიგადა. დანარჩენი 8 კაცი მშენებლობაზე მიდიოდა საწარმოში მუშაობის დამთავრების შემდეგ და განაგრძობდა იქ მუშაობას. მშენებლობაში მონაწილეობდნენ ბინების მიმღებთა ოჯახის წევრებიც, ხოლო დასასვენებელ დღეებში საწნეხე საამქროს კორპუსის კოლექტივი აწყობდა მასობრივ კვირაობას, მთელი კოლექტივი გადიოდა მშენებლების დასახმარებლად.

შრომის რაციონალურ ორგანიზაციას, სამშენებლო სამუშაოების მართებულ ორგანიზაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყოველი მშენებლობისათვის.

სახალხო მეთოდით სახლების მშენებლობისათვის დამახასიათებელია ობიექტების ერთტიპურობა, ერთ ადგილზე მუშათა საცხოვრებელ უბნად კონცენტრირება. გასაგებია, რომ ერთტიპური სახლების მასობრივად გაშენება მიზანშეწონილია ვაწარმოოთ ნაკადური მეთოდით, რომელიც საშუალებას გვაძლევს უკეთესად გამოვიყენოთ მუშახელი, მექანიზმები, მატერიალური საშუალებები და თანდათანობით გადავცეთ სახლები მობინადრეთა შესასახლებლად. ასეთი წესით მუშაობენ სოლომოვოს (ქალაქ გორკის გარეუბანი) მუშები.

ხარკოვში კი გვირჩიეს: უმჯობესია დაწყებული სახლის მშენებლობა ვაწარმოოთ ამავე სახლის მომავალ მობინადრეთა საშუალებით და მუშები მხოლოდ თავიანთ სახლზე მივამაგროთ, ამით ისინი დაინტერესებული იქნებიან საკუთარი სახლის მშენებლობა გულდასმით აწარმოონონ.

მშენებლობებზე საშენი მასალების მოზიდვა მოწესრიგებულია წინასწარ მოფიქრებული სქემით, ქარხნის ტრანსპორტი, ტრანსპორტის მუშაკებს სამშენებლო მოედნებზე მასალები შეაქვთ უმთავრესად ღამით და მომჭირნეობით დაგროვილი საწვავის გამოყენებით.

სამშენებლო სამუშაოთა წარმოებაში ტექნიკური მეთვალყურეობისა და უსაშიშრობის დასაცავად ყოველი 2-3 საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე მიმაგრებულია ქარხნის ერთ-ერთი ინჟინერი ან ტექნიკოსი.

საამქროების მონაწილეობა მშენებლობაში

სახალხო მეთოდით საცხოვრებელი სახლების მშენებლობის წარმატებაში უაღრესად დაინტერესებული არიან საწარმოების და საამქროების კოლექტივები, ეინაიდან სახინაო პირობების გაუმჯობესება დიდად უწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, საწარმოს ეკონომიური მაჩვენებლების ზრდას.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ XVIII ყრილობის მითითებათა შესასრულებლად

სახლები სახალხო მეთოდით—საკუთარი ძალებით

ამიტომ არის, რომ საამქროები ხალისით უწევენ დახმარებას ბინათმშენებლებს.

სორმოვოს ლენინის სახელობის ქარხანაში სხვადასხვა საამქროების მუშებმა თავიანთ ბინათმშენებელ ამხანაგებს მომჭირნეობის შედეგად დაგროვილი მასალისაგან დაუმზადეს წიდაბლოკების ყალიბები, კიბეების მოაჯირები, სამზარეულოების მოწყობილობა. რადიატორები, კარ-ფანჯრის ჩარჩოები, ენერგეტიკოსებმა მშენებლებს გაუყვანეს წყალსადენი, შუქი და ა. შ.

სორმოვოს ლენინის სახელობის მუშა ვ. რიჟოვი თავის ახალ ბინაში, რომელიც მიიღო სახალხო მეთოდით აგებულ სახლში.

მშენებლოგაზე გადასულთა შრომის ანაზღაურება

საწარმოებიდან სახლების მშენებლობაზე გადასულთა შრომის ანაზღაურება ხდება საშუალო-სანარდო გამომუშავების მიხედვით.

მუშები თვალნათლივ ხედავენ, რომ თუ ისინი მშენებლობაზე გადასული ამხანაგების შრომის ასანაზღაურებლად ნაკლები მუშახელით მეტ პროდუქციას არ გამოუშვებენ, თუ მეტად არ შეამცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას, მაშინ ვერც მშენებლობაზე გადასულთა შრომას ანაზღაურებენ, მოსპობენ იმის საშუალებას, რომ მშენებლობაზე გადასულებმა ხელფასი საამქროდან მიიღონ. ამრიგად, საშუალო-სანარდო ანაზღაურებაში გამოვლინება ჰპოვა საამქროს კოლექტივის შრომის ტემპის გაძლიერებამ, საამქროში ზეგეგმითი დაგროვების რეზერვების გამოყენებამ.

ზოგ საწარმოში მშენებლობებზე გადასულებს აძლევენ იმ განსხვავებას, რომელსაც იძლეოდა მათ მიერ სამშენებლო ნორმების შესრულება და საწარმოში საშუალო-სანარდო გამომუშავების თანხა, ხოლო როდესაც მშენებლები უკვე მიაღწევდნენ მშენებლობაზე ნორმების შესრულების დონეს, განსხვავების მიცემას უწყვეტდნენ. თუმცა მშენებლობაზე გადასულებს ამით ერთგვარად უმცირდებოდათ ხელფასი, მაგრამ მშენებლობას ისინი მაინც ხალისით განაგრძობდნენ.

საწარმოს იმ მუშებს, რომლებიც მშენებლების დასახმარებლად გადიან (შაბათობის წესით), სამშენებლო სამუშაოთა შესრულებისათვის ანაზღაურება არ ეძლევათ.

პროექტები. საერთო-სამშენებლო სამუშაოები

სახლის ასაგებად, ბუნებრივია, საჭიროა პროექტი, საჭიროა აგრეთვე მთელ რიგ საერთო-სამშენებლო სამუშაოთა შესრულება.

სახალხო მეთოდით მშენებლობისათვის უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ყოველგვარი არქიტექტურული ზედმეტობისაგან თავისუფალი, ეკონომიური პროექტები, რომლებიც უნდა ითვალისწინებდნენ საშენი მასალის რაც შეიძლება ნაკლებ გასავალს და ნაგებობის მაღალ სიმკვიდრეს. ასეთი პროექტების დამუშავებით გორკისა და ხარკოვის დამპროექტებლებმა დიდი დახმარება გაუწიეს სახლების მშენებლებს. მათ შეადგინეს მთელი საცხოვრებელი კვარტალების განაშენიანების პროექტები. მარტო ხარკოვის სახელმწიფო საპროექტო ორგანიზაციებმა უფასოდ შეასრულეს 500 ათასი მანეთის საპროექტო სამუშაოები.

ამ პროექტების დამახასიათებელია მცირესართულიანობა (ორი, იშვიათად სამი სართული). ძირითად ტიპად აღებულია ორსართულიანი სახლის პროექტი 8-10 ბინით. ხოლო თუ შენობათა ბლოკირებას მოვახდენთ, 16-20 ბინით. ბინები 1, 2 და 3 ოთახისაგან შედგება. ყოველი ბინა თავის სათავსებით განკუთვნილია ერთი ოჯახისათვის. ყოველ ბინას აქვს საკუთარი სამზარეულო და სანიტარული კვანძი. სამზარეულოში არის საცეცხლე ქურა ბინის წყლით გასათბობი სისტემით, ხოლო სანიტარული კვანძი მოწყობილია მცირეგაბარიტიანი აბაზანებით.

მშენებლობის წარმატების მნიშვნელოვანი პირობაა ე. წ. „ნულოვანი“ ციკლის სამუშაოების შესრულება (სამშენებლო ტერიტორიის მოსწორება, ტრანშეების გათხრა შენობის საძირკვლისთვის და საძირკვლის ამოყვანა). აგრეთვე სამშენებლო მოედანზე მისასვლელი გზის გაყვანა. გორკელებისა და ხარკოველების გამოცდილება ცხადყოფს, რომ „ნულოვანი“ ციკლის სამუშაოების შესრულება ახლად გასაშენებელ უბანში უმჯობესია მივანდოთ რომელიმე სამშენებლო ორგანიზაციას. ასევე უმჯობესია მასვე მივანდოთ საერთო-საუბნო სამუშაოების შესრულება ცენტრალური საქვაბე მეურნეობის მოწყობა, კლუბის, საბავშვო დაწესებულებების, მაღაზიების აგება და ა. შ.

საუკეთესო შედეგს იძლევა სახლების მშენებლობაზე ე. წ. მცირე და დიდი მექანიზაციის ფართოდ გამოყენება. გორკში შარშან ნაკისრი 110 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ნაცვლად 136 ათასი კვ. მეტრი ააგეს სამუშაოთა მექანიზაციის შედეგად. მცირე მექანიზმებს საწარმოთა კოლექტივები ხშირად თვითონვე უმზადებდნენ მშენებლებს.

საშენი მასალების გამონახვის გზები

ცნობილია, რომ საშენი მასალებით მშენებლობის შეუფერხებელი მომარაგება წარმატების პირველი პირობაა. ფაბრიკებისა და ქარხნების ურთიერთდახმარება, ადგილობრივი საშენი მასალების წარმოება არის ის სიახლე, რომელიც წარმოშვა სახალხო მეთოდით სახლების მშენებლობის გამოცდილებამ.

რასაკვირველია, მარტო იმ ნარჩენების გადამუშავებით, რაც საწარმოებში აქვთ, შეუძლებელია ფართო მასშტაბით ვაწარმოოთ სახლების ასაგებად საჭირო დეტალების დამზადება და ამით დავფაროთ მთელი მოთხოვნილება. მთავარია ნარჩენების გამოყენებასთან ერთად ხელი მივყოთ ადგილობრივი საშენი მასალების გადამუშავებასაც, მომჭირნეობით გამოვიყენოთ არსებული მასალები, განსაკუთრებით ცემენტი და ხე-ტყე.

იმ ხანებში, როცა გორკელები შეუდგნენ საკუთარი ძალებით სახლების მშენებლობას, სკკპ გორკის საოლქო კომიტეტმა მოიწვია საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოთა მუშაკების თათბირი. თათბირის მონაწილეებმა საშენ მასალათა წარმოების გადიდებისათვის მრავალი ძვირფასი წინადადება შემოიტანეს. მაგალითად, გორკის სილიკატური აგურის ქარხნის მეწნეხემ ა. ვასიუკოვამ თათბირს მოუთხრო, თუ როგორ გაადიდა ავტოკლავში დასაორთქლებლად შესატან ვაგონეტებზე ნედლი აგურის დატვირთვა, როგორ მიაღწია ერთ ვაგონეტზე 860-900 ცალის ნაცვლად 940-952 ცალი ნედლი აგურის დაწყობას.

მეორე ქარხანაში მეწნეხე ა. ფედოროვამ კიდევ უფრო გააუმჯობესა ვასიუკოვას მიერ ვაგონეტზე ნედლი აგურის დაწყობის წესი, 952 ცალის ნაცვლად თითო ვაგონეტზე 977 ცალი ნედლი აგური მოათავსა. ამით კიდევ უფრო გაიზარდა აგურის გამოშვება. შემდგომში მიაგნეს აგურის გამოშვების კიდევ ერთ ახალ რეზერვს. ავტოკლავში ერთდროულად თავსდებოდა 16 ვაგონეტი. ნახეს, რომ თუ ავტოკლავში ორთქლმიმწოდებელ მილს გადაუნაცვლებდნენ, მასში დამატებით კიდევ ერთი ვაგონეტი მოთავსდებოდა. თვით ვაგონეტის ფუძე მაღალი აღმოჩნდა. შეუცვალეს მას ჩარჩოს კონსტრუქცია, 21-25 სანტიმეტრით დაადაბლეს და ახლა ვაგონეტზე 1.016 ცალი ნედლი აგური მოათავსეს.

ამრიგად შარშან 4 თვის განმავლობაში აგურის სამმა ქარხანამ შეძლო გეგმის გადამეტებით 15 მილიონი ცალი აგურის გამოშვება.

გორკის ერთ-ერთ ქარხანაში ის ფიცრები, რომლებშიც მიღებული მოწყობილობა იყო შეფუთული, მუშებმა გამოიყენეს სახლების მშენებლობაზე, საკუთარი ძალებით და დანაზოგი ლითონით მოაწესრიგეს გასათბობი სისტემის რადიატორების ჩამოსხმა, შემოიღეს სხვა საწარმოების კოლექტივებთან საბინაო მშენებლობისათვის საჭირო სხვადასხვა მასალების გადაცვლა.

ასეთი ღონისძიებებით საგრძნობლად გადიდდა საშენი მასალების გამოშვება გეგმის გადამეტებით, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა საკმარისი ბინათმშენებლების გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამის გამო, როგორც ზემოთ აღინიშნა, პარტიის რაიკომების რჩევით მანქანათმშენებელი ქარხნების კოლექტივებმა აიღეს შეფობა ახლომდებარე საწარმოებზე—აგურის, წიდაბლოკების, კირის და სხვა საშენი მასალების დამამზადებელ ქარხნებზე. შეფები საშენ მასალათა საწარმოებს ეხმარებოდნენ მოწყობილობის შეკეთებაში, უმზადებდნენ ამ მოწყობილობათა შეუფერხებელი მუშაობისათვის საჭირო ნაწილებს, საკუთარი ძალებით აწყობდნენ მესამე ცვლაში მუშაობას, თუ ერთი ან ორცვლიანი მუშაობა იყო.

ყოველივე ამის შედეგად საშენი მასალების საწარმოთა კოლექტივებმა გამართულად იწყეს მუშაობა, გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ და ზეგეგმითი საშენი მასალების ნაწილს სახალხო მეთოდით მომუშავე ბინათმშენებლებს აძლევდნენ.

დაფინანსების წყაროები

სახალხო მეთოდით საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაფინანსება ხდება სხვადასხვა წყაროებიდან. შეიძლება დაფინანსება განხორციელდეს ბინათმშენებლობის სახელმწიფო გეგმის ცენტრალიზებული ფონდიდან საშენი მასალების ლიმიტების მიუღებლად.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ ახლახან გამოსცა განმარტება (1958 წლის 31 იანვარი, № 42), რომელშიც მითითებულია სახალხო მეთოდით ბინათმშენებლობის დაფინანსების ძირითადი წყაროები და მოყვანილია ამ დაფინანსების განხორციელების წესები.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ იმის შესახებ, თუ რა არის საჭირო იმისათვის, რათა საწარმოში დაგროვილ იქნას ზეგეგმითი თანხები. სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 31 ივლისის ცნობილი დადგენილების მიხედვით ზეგეგმითი დაგროვების თანხიდან, რომელსაც საწარმო მიიღებს, 30 პროცენტი შეიძლება მოხმარდეს საბინაო მშენებლობას.

თუ საწარმო რენტაბელურად მუშაობს, როგორც ცნობილია, იქმნება საწარმოს ფონდი ანუ დირექტორის ფონდი. ამ ფონდის ნახევარი შეიძლება გამოყენებულ იქნას სახალხო მეთოდით ბინათმშენებლობისათვის. გარდა ამისა, შეიძლება სახალხო მეთოდით სახლების აგებას მოვახმაროთ ნარჩენებისაგან ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების შედეგად შემდგარი ე. წ. ფართო მოხმარების ფონდი, აგრეთვე სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მოპოვებული საპრემიო თანხები.

ეს თანხები მათ მფლობელთა სურვილისამებრ, შეიძლება შეტანილ იქნას ბანკში სპეციალურ ანგარიშზე. ბანკი კი სახალხო მეთოდით საცხოვრებელი სახლების მშენებლობას დააფინანსებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ სპეციალურ ანგარიშზე შეტანილი თანხა შეადგენს ასაშენებელი სახლის ღირებულების არანაკლებ 25 პროცენტს. ამასთან ბანკში წარდგენილი უნდა იყოს სატიტულო სია (ე. წ. ფორმა № 1) და ცნობა სახლის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ (ფორმა №6). დანარჩენი ფორმების (№ 5, № 7 და № 12) წარდგენა საჭირო არ არის.

ბანკს უფლება ეძლევა გააერთიანოს რამდენიმე ცალკე საწარმოს, ან ორგანიზაციის მიერ სახალხო მეთოდით სახლების მშენებლობის დასაფინანსებლად შეტანილი თანხები, თუ ამის სურვილს გამოთქვამენ თანხათა გადამრიცხველი საწარმოები და ორგანიზაციები. ასეთი წესით ბინათმშენებლობის დასაფინანსებლად თანხების შეგროვება დიდად ხელსაყრელია, ვინაიდან თუ წლის განმავლობაში ეს სპეციალური თანხები ამათუიმ მიზეზის გამო გამოუყენებელი დარჩა, წლის ბოლოს — 31 დეკემბერს თანხების მოხსნა არ ხდება, მათი გამოყენება შეიძლება მომდევნო წლის განმავლობაშიც.

როგორც ცნობილია, საწარმოო ნაგებობებისა და მოწყობილობა-დანადგარების კაპიტალურად შეკეთებისათვის საწარმოებს ყოველწლიურად ეძლევათ გარკვეული რაოდენობის ე. წ. საამორტიზაციო თანხა. გორკელებმა ამ თანხებიდან 75 პროცენტამდე მოახმარეს სახალხო მეთოდით საცხოვრებელი სახლების მშენებლობას. გორკელები ამბობენ, რომ მათ შეძლეს საწარმოო ნაგებობათა და მოწყობილობა-დანადგართა ექსპლოატაციის ისე გაუმჯობესება, მათი მოვლა-პატრონობის საქმის ისეთ სიმაღლეზე დაყენება, რომ საამორტიზაციო თანხების დაუხარჯავადაც შესაძლებელი იყო ნაგებობათა და მოწყობილობა-დანადგართა სრული სიმძლავრეებით გამოყენებაო.

საამორტიზაციო თანხების გამოყენება სახალხო მეთოდით ბინათმშენებლობისათვის არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან საამორტიზაციო თანხის მოცულობა განისაზღვრება საწარმოო ნაგებობათა და მოწყობილობა-დანადგართა სადეფექტო აქტებით. თუ ეს აქტები სწორად, მართებულად არის შედგენილი, როგორ შეიძლება აქტებში ჩამოთვლილი დეფექტების გამოსასწორებლად გათვალისწინებული თანხები არ დავხარჯოთ, სხვა საქმისათვის გამოვიყენოთ! ამიტომ, ცხადია, საამორტიზაციო თანხების გამოყენება სახალხო მეთოდით ბინათმშენებლობის დაფინანსებისათვის არ არის მიზანშეწონილი.



ერთ და ოროთახიანი, მცირემეტრაჟიანი ბინების გეგმა რვაბინიან სახლში (დამუშავებულია გორკის ქალაქპროექტის მიერ).

* * *

როცა საწარმოს კოლექტივი უალრესი მომჭირნეობით გამოიყენებს ნედლეულსა და დამხმარე მასალებს, შეამცირებს წუნს, აღკვეთავს არასაწარმოო ხარჯებს, აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება, დაგროვდება სახსრები სახლების მშენებლობისათვის. ბევრგან საკუთარი ბინების მოსაპირკეთებლად მუშა-მენაშენეები იყენებენ პირად დანაზოგ თანხებსაც, რაც შემდგომში ბინის ქირის ანგარიშში ექვითებათ.

გორკელმა ავტომობილმშენებლებმა 65 საცხოვრებელი სახლის აგება გადაწყვიტეს. მათ ამისათვის აჭირდებოდათ 18 მილიონი მანეთი. სად უნდა გამოენახათ ეს თანხა?

გამოირკვა, რომ ქარხნის სამსხმელო საწარმოში ყოველწლიურად 23 მილიონი მანეთი ზარალი მოსდიოდათ ლითონსხმულის წუნის გამო. თუ ამ წუნს თუნდაც 10-15 პროცენტით შეამცირებდნენ, ეს მათ დიდ ეკონომიას მისცემდა, ვინაიდან ლითონის სხმაში წუნით გამოწვეული ზარალი, როგორც წესი, იგეგმება. მაშასადამე, წუნის შემცირება გათვალისწინებულზე მეტად ქარხნის კოლექტივს მრავალი მილიონი მანეთის ეკონომიას მისცემდა. წუნის შემცირებას მიაღწიეს და ამის შედეგად საგრძნობი ეკონომია მიიღეს.

ამასთან ქარხანაში გააჩაღეს შეჯიბრება მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ განხორციელებისათვის და ამ გზით დაგროვების გადიდებისათვის. შასის საამქროში ამხ. სემიშკინის ბრიგადამ გადაწყვიტა გაეწია 4 ცალი ფრეზის ეკონომია. ეს გადაწყვეტილება ბრიგადამ სისრულეში მოიყვანა და საამქროს დაგროვების თანხას ყოველთვიურად 832 მანეთი შეემატა. სამსხმელო საამქროს ჩამტვირთველმა ამხ. უსპენსკიმ ჩქაროსნული დნობის შედეგად ყოველი ტონა ნადნობის მიაღებად 60 კილოვატ-საათი ელექტროენერგიის ეკონომია გასწია. ეკონომიისათვის ბრძოლაში ჩაება ყველა ბრიგადა, ყველა მუშა. ამით გადიდდა საერთო დაგროვების თანხა, რომელმაც მრავალ მილიონ მანეთს გადააჭარბა. აქედან მესამედი საბინაო მშენებლობას მოხმარდა.

როგორ აშენებენ პატარა საწარმოთა კოლექტივები?

ზემოთ უკვე ვთქვით თუ როგორ მოაწყეს ხარკოვის ლენინის რაიონის საშუალო და პატარა საწარმოთა კოლექტივებმა საკუთარი ძალებით ბინების მშენებლობა.

ქალაქ გორკში არსებობს ერთი პატარა, მაგრამ სანიმუშოდ მომუშავე საწარმო— კ. ცეტკინის სახელობის წინდის ფაბრიკა, რომელიც რენტაბელურად მუშაობს, სახელმწიფო გეგმას თანდათან მზარდი მაჩვენებლებით ასრულებს.

ამ ფაბრიკის კოლექტივი სახალხო მეთოდით აშენებს ორ რვაბინიან სახლს. მართალია, ამ პატარა საწარმოს შესაძლებლობანი მეტად შემოფარგლულია, მაგრამ რეზერვების გამონახვა აქაც შეძლეს. აქ საკუთარი საშუალებით დაამზადეს უმარტივესი საბრძანო ჩარხი, რომლითაც წიდაალებასტრის ბლოკებს ამზადებენ. 9 კაცი გათავისუფლეს საამქროდან და გადაიყვანეს მშენებლობაზე. საბაგიეროდ საწარმოში მათი წილი საქმეთაოს შესრულება თვითონ იკისრეს სამუშაო დროის შემჭიდროებისა და რაციონალიზატორულ გაუმჯობესებათა საშუალებით. ეს 9 კაცი სისტემატურად მუშაობს მშენებლობაზე, ხოლო კოლექტივის დანარჩენი წევრები მშენებლობაზე სამუშაოდ მიდიან ცვლის შემდეგ და შესრულებული სამშენებლო სამუშაოსათვის ანაზღაურებას იღებენ სამშენებლო შეფასებათა მიხედვით. არიან პატარა საწარმოები, რომლებიც რენტაბელურად მუშაობენ, მაგრამ მათი კოლექტივების კარგი მუშაობით მიღებული ზეგეგმითი დაგროვების თანხები არ არის საკმარისი მრავალბინიანი სახლების ასაშენებლად. მცირებინიანი პატარა სახლების აგება კი ქალაქში ყოველთვის როდია დასაშვები.

ასეთი პატარა საწარმოს კოლექტივმა შეიძლება საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დაიწყოს მას შემდეგ, როდესაც იგი შეაგროვებს სათანადო თანხას, ან შეუერთდეს სხვა რამდენიმე ასეთსავე პატარა საწარმოს კოლექტივებს, გააერთიანონ თანხები, საერთო ძალებით დაიწყონ ერთი მრავალბინიანი სახლის აგება. ასეთ შემთხვევაში არჩეულ უნდა იქნას ცალკე საწარმოების წარმომადგენლებისაგან მშენებლობის ხელმძღვანელობისა და მოაწესრიგებს მშენებლობის მონაწილე საწარმოების კოოპერირებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

„ჩვენი ქარხნის კოლექტივში, — წერს გაზ. „სტროიტელნაია გაზეტას“ მიმდინარე წლის 19 თებერვლის ნომერში ქარხანა „ომსკენერგოს“ სამშენებლო უბნის უფროსი ამხ. ვ. ბრუნინი, — 300-მდე კაცია. კოლექტივის ამ მცირერიცხოვანებამ როდი შეგვიშალა ხელი იმაში, რომ დაგვეწყო სახალხო მეთოდით დიდი ოთხსართულიანი, 60-ბინიანი სახლის აგება 2.600 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობით. 4 მილიონი მანეთიდან, რაც ამ სახლის აგება გვიჯდება, განვლილი ათი თვის განმავლობაში უკვე ათვისებული გვაქვს 1,5 მილიონი მანეთი.

ამჟამად ამოგვყავს მესამე სართულის კედლები, ხოლო პირველ და მეორე სართულში ვაყენებთ ოთახთაშორის ტიხრებს, საფანჯრე სიოებში — ჩარჩოებს. წელს ეს სახლი უნდა გადავცეთ ექსპლოატაციაში, ხოლო შემდეგ შევუდგეთ საკუთარი ძალებით და ტიპური პროექტებით საბავშვო ბაღის, საბავშვო ბაგის და მუშათა დასასვენებელი სახლის აგებას. ყველა ამ ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 6 მილიონ მანეთამდე აღწევს, ხოლო სამივე ობიექტის ჩაბარება უნდა მოვახერხოთ 1958-1960 წლებში. სახელმწიფოს მიერ ამ მიზნისათვის ასიგნებულია 4 მილიონი მანეთი, დანარჩენი თანხა ჩვენ უნდა გამოვნახოთ.

შარშან სახელმწიფო ასიგნების თანხას დავუმატეთ 230.000 მანეთი საწარმოს ფონდიდან, 240.000 მანეთი კი ზეგეგმითი ეკონომიის დარიცხვის თანხიდან, რომელიც ჩვენი ქარხნის კოლექტივმა მიიღო შრომის ნაყოფიერების ზრდის უზრუნველყოფის, ნედლეულის მომჭირნეობისა და წუნის შემცირების გზით. ამრიგად, შარშან მშენებლობაში დავბანდეთ 470 ათასი მანეთი საკუთარი თანხა.

ამასწინათ შევიმუშავეთ ღონისძიებები 1958 წელს ეკონომიის ფონდის შესაქმნელად. გადაწყვეტილია, რომ ამ ფონდში თვითეულმა მუშამ საკუთარი წვლილი შეიტანოს, მოწინავე მჭედლის ამხ. კორობიკოვის ინიციატივით ყველა მუშა ჩაება ნედლეულის, განსაკუთრებით ლითონის მომჭირნეობით ხარჯვისათვის, ხელსაწყო-იარაღთა ვარგისიანობის გახანგრძლივებისათვის ბრძოლაში. ტექნიკური კონტროლის უფროსის ამხ. ჯალინოვსკის წინადადებით გაჩაღდა ბრძოლა უნაყოფო ხარჯების აღსაკვეთად და მექანიზაციის დანერგვით შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად. მხოლოდ ამ ღონისძიებათა განხორციელებით წელს ჩვენ სულ ცოტა 1,3 მილიონ მანეთ ზეგეგმითს დაგროვებას მივიღებთ და ამ თანხიდან 324.000 მანეთს მშენებლობისათვის გადავრიცხავთ.

გარდა ამისა წელს საწარმოს ფონდიდან მშენებლობისათვის გადავრიცხავთ 440 ათას მანეთს. ჩვენი ვარაუდით 1 მილიონამდე მანეთს მივიღებთ იმ ფართო მოხმარების საქონლის რეალიზაციიდან, რომელსაც ქარხანაში ვამზადებთ. ამდენსავე თანხას, მივიღებთ მომავალი წლების განმავლობაში.

მუშები, რომლებიც ჩვენი სახლის აგებაზე მუშაობენ ყველა საშუალებით ცდილობენ მომჭირნეობით ხარჯონ ყოველი მანეთი, შეამცირონ სამუშაოთა შესრულების ღირებულება, გამოიყენონ ყოველი ნარჩენი. მაგალითად, ლითონის ფურცლისაგან მიღებულ ბადეს, რომელსაც მივიღებთ იმავე ფურცლიდან ჭანჭიკების ტვიფრით ამოჭრის შემდეგ, ვიყენებთ როგორც საბოძე არმატურას. არმატურისათვის ვიყენებთ აგრეთვე მავთულების ნაჭრებს, რითაც ჩვენ უკვე შევცვალეთ ორი ტონა საარმატურო რკინა...

ვიყენებთ აგრეთვე დეფორმირებულ აგურს, სხვა საშენ მასალებს. მაგალითად, ტრესტი №49, რომელიც გვიმზადებს საფანჯრე ჩარჩოებს, კარებსა და ჭერის ფიცრებს, ახლა ფიცრების ნარჩენებისა და ნაჭრებისაგან ჩვენი თხოვნით გვიმზადებს ოთახთაშორისო ტიხრებს, რაც საშუალებას გვაძლევს გავწიოთ ხე-ტყის მასალის ეკონომია დაახლოებით 30 პროცენტით. 10.000 მანეთის ეკონომია მივიღეთ მარტო იმით, რომ გამოვიყენეთ შენობის ქვაბულის გათხრისას აღმოჩენილი ქვიშა და უარი ვთქვით შორიდან ქვიშის მოზიდვაზე.

სამშენებლო ორგანიზაციებს ზოგჯერ გამოუყენებელი რჩებათ რკინა-ბეტონის ნაკეთობები, რომელთაც ჩვენ ვყიდულობთ. მაგალითად, ომსკტრანსსტროიში ამ გზით შევიძინეთ 30 კუბმეტრი რკინა-ბეტონის კონსტრუქციები და დეტალები, რაც მათ დარჩათ 94-ბინიანი სახლის მშენებლობის დამთავრებისას.

იმ ნაკვეთის მეზობლად, სადაც ჩვენი სამშენებლო ნაკვეთია, იყო აგურით ნაგები სასაწყობო შენობა, რომელიც უნდა აეღოთ. ჩვენ ვიკისრეთ ამ შენობის აღება, შეეუდექით მის დარღვევას ისე ფრთხილად, რომ რაც შეიძლება მეტი აგური დაგვეგროვებინა. ჯერჯერობით ამ შენობის ნაწილიდან უკვე დავაშტაბელეთ 10.000 ცალი საუკეთესო აგური, თუმცა შენობის დარღვევა ჯერ არ დაგვიმთავრებია...

ჩვენი კოლექტივის გამოცდილება ცხადყოფს, რომ მცირერიცხოვან კოლექტივებს შეუძლიათ აშენონ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები კეთილმოწყობილი ბინებით. ეს ხელსაყრელია როგორც სახელმწიფოსათვის, აგრეთვე მშრომელებისათვის.

საჭიროა უწინარეს ყოვლისა სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში მოვაწესრიგოთ რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციებისა და სადურგლო ნაწარმის გამოშვება სახალხო მეთოდით მშენებლობისათვის. მენაშენეებმა რომ ამისათვის დაიწყონ საკუთარი პოლიგონებისა და სახელოსნების მოწყობა, არ არის მიზანშეწონილი. ვფიქრობთ არ იქნება ცუდი, თუ ამ საქმის მოწესრიგებით დაინტერესდებიან სახალხო მეურნეობის საბჭოები და მიიღებენ ზომებს, რათა სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებთან მოეწყოს ფართო მოხმარების ნაწარმოთა საამქროები, სადაც სახალხო მეთოდით ბინათმშენებლებისათვის დაამზადებენ საფანჯრე ჩარჩოებს, კარებს, სხვადასხვა სადურგლო ნაწარმს და რკინაბეტონის დეტალებს“...

მოკლედ, ხარისხის შესახებ

ხშირად ფიქრობენ, რომ რაკი ინდუსტრიულ საწარმოთა მუშები სახლების მშენებლობაში გამოუცდელნი არიან, მათ მიერ შესრულებულ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი მაინცდამაინც სახარბიელო არ იქნებაო, მაგრამ ასეთი შეხედულება სწორი არ გამოდგა.

სახალხო მეთოდით შესრულებული სამშენებლო სამუშაოები მაღალი ხარისხით გამოირჩევა. ერთი შეხედვით ეს თითქოს საკვირველია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სახალხო მეთოდით სახლების მშენებლებს—ხარატებს, ზეინკლებს, მღარავებს და ა. შ. შეთვისებული აქვთ მაღალი სიზუსტით მუშაობის ჩვევები, არ გაგიკვირდება, რომ ისინი ამ ჩვევებს სამშენებლო სამუშაოთა შესრულებაშიც იყენებენ, აშენებენ მკვიდრად, ლამაზად.

ეს გარემოება სახალხო მეთოდით ბინათმშენებლობის საერთო დამახასიათებელია.

* * *

საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობაზე აღინიშნა, რომ 1956-1957 წლებში თბილისში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 168.000 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი, გაცილებით მეტი, ვიდრე მეხუთე ხუთწლედში. მაგრამ მშენებლობის ტემპები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას. გასულ წელს თბილისის მშრომელებს 15.000 მეტრი საცხოვრებელი ფართობი დააკლდათ. ყრილობაზე აღინიშნა აგრეთვე, რომ თბილისში ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დანერგილი ქალაქ გორკის მშრომელთა გამოცდილება საკუთარი სახსრებით და საშუალებებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საქმეში.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებს მუშათა საბინაო მშენებლობის განვითარების დიდი შესაძლებლობა აქვთ. გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობანი მოფიქრებით, უნარიანად, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესთა შესაბამისად, ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ!



სახალხო მეთოდით აგებული სახლები დაბა ვიხოკოვოში (ქ. გორკის გარეუბანი).

(მასალები ორგანიზებულია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და გაზ. „კომუნისტის“ რედაქციის მუშაკების მიერ).

იგი უმღერდა ხალხთა ძმობას

ოვანეს თუმანიანის გარდაცვალების 35 წლისთავის გამო

მახსოვს, როცა თბილისში გარდაიცვალა დიდი სომეხი პოეტი ოვანეს თუმანიანი, მთელ მოწინავე ქართველ ინტელიგენციასთან ერთად ტიციან ტაბიძემ ღრმა გულისტკივილით დაიტირა იგი და ოვანეს ნათელი უწოდა. ეს ეპითეტი მოძმე ერის შესანიშნავ პოეტსა და მოქალაქეზე მარტო ერთი ადამიანის შეხედულებას როდი გამოხატავდა. ეს ჩვენი პროგრესული საზოგადოებრიობის აზრიც იყო, ვინაიდან სხვანაირად შეუძლებელია წარმოიდგინო ამ პოეტის პიროვნული და შემოქმედებითი სახე.



ოვანეს თუმანიანი თავისი ყრმობით, სწავლა-განათლებით, ჰაბუკობის საუკეთესო წლებით, მთელი თავისი ხიცოცხლით მჭიდროდ არის დაკავშირებული თბილისთან, ქართულ მწერლობასთან, ქართველ მშრომელ ხალხთან. პოეტის სახლს, ამიერკავკასიის ხალხთა საუკეთესო წარმომადგენლების ამ საყვარელ შესაკრებ ადგილს, მისი თანამედროვე ქართველი მწერლები ხალხთა ძმობის შტაბს უწოდებდნენ.

ხალხთა მეგობრობის ნათელი იდეით არის შთაგონებული ოვანეს თუმანიანის ყველა ღირსშესანიშნავი პოეტური ქმნილება, ამ იდეით არის წარმართული მთელი მისი საზოგადოებრივ-კულტურული მოღვაწეობა. ოვანეს თუმანიანს ცხოვრების რთულ და ძნელ გზას უშუქებდა მტაცეკ რწმენა:

დღეს ხალხი სისხლით თუ
ოფლითა,
ეს დაგვრჩეს მაინც ძველ
გაკვეთილად,
რომ ერთი ერის უბედურება
ვერ გადიკეცვა სხვისთვის
კეთილად.

ეს რწმენა განუყრელად თან სდევს პოეტს კერძო თუ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, ამ რწმენით არის აღსავსე მისი მხატვრული შემოქმედებაც.

ოვანეს თუმანიანი სომხეთის კლასიკური ლიტერატურის მოწინავე ტრადიციების ბრწყინვალე განმგრძობია. მან შემდგომ განავითარა ეს მაღალი ტრადიციები და სამემკვიდრეოდ უანდერძა სომხეთის უახლეს საბჭოთა ლიტერატურას, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლები შეურყვნელად ინახავენ ამ ტრადიციებს და ახალ სიმაღლეებს იპყრობენ მათი განვითარების გზაზე.

ოვანეს თუმანიანის გარდაცვალების 35 წლისთავის გამო

იდგა რა კრიტიკული რეალიზმის პოზიციებზე, ოვანეს თუმანიანი თავის პოეზიაში მკაფიო ფერადებით ასახავდა საკაცობრიო აზროვნების დიდ პროგრესულ ტენდენციებს, სომეხი ხალხის თავისუფლებისმოყვარეულ სულისკვეთებას. ამაზე მეტყველებენ მისი პოემები, ლექსები, ბალადები, ეგვ-არაკები, ზღაპრები. ვინც იცნობს ოვანეს თუმანიანის ისეთ შედევრებს, როგორიც არის „სომხეთის მთებში", „ჩემს სამშობლოსთან ერთად", „გლეხის სიმღერა", „ვარამი სომხეთისა", „სევდიანი საუბარი", მის მეხსიერებაში არასოდეს არ წაიშლება ის უღამაზესი სულიერი განცდები და კეთილშობილური სწრაფვა სინათლისაკენ, რაც საუკუნეების მანძილზე განუყრელად თან ატარა სომეხმა ხალხმა.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სომხურ ლიტერატურაში ოვანეს თუმანიანის „ანუშს", შესანიშნავ მხატვრულ ტილოს, რომელზედაც პოეტმა რეალისტური ძალით ასახა სომეხი ხალხის ცხოვრების მძიმე პირობები. ამ ნაწარმოების შესახებ ჯერ კიდევ 1916 წელს ცნობილი რუსი პოეტი ვალერი ბრიუსოვი ამბობდა: „სხვა ხალხს მკითხველებს თუმანიანის პოემების გაცნობა (მაგალითად, მისი „ანუშისა") უფრო მეტს მისცემს თანამედროვე სომხეთისა და მისი ცხოვრების შესაცნობად, ვიდრე შეუძლია მისცეს სპეციალურ გამოკვლევათა სქელ ტომებს".

სწორედ ამ გარემოებამ შთაგონა გამოჩენილი სომეხი კომპოზიტორი ა. ტიგრანიანი დაეწერა ოპერა „ანუში". ასევე პოეტური შთაგონებით არის შექმნილი ა. სპენდიაროვის ოპერა „ალმასტი" და ბევრი სხვა მუსიკალური ნაწარმოები. ო. თუმანიანის ტექსტების მიხედვით. ოვანეს თუმანიანის შემოქმედებაზე ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა რუსულმა კლასიკურმა ლიტერატურამ, განსაკუთრებით ა. პუშკინისა და მ. ლერმონტოვის შემოქმედებამ. რუსული მწერლობისადმი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით არის გამთბარი ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ნ. ნეკრასოვის, მ. გორკის ნაწარმოებების თუმანიანის მიერ შესრულებული თარგმანები. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე უცხოელ კლასიკოსთა — ბაირონის, ჰაინეს, გოეთეს, ლონგფელოს და სხვათა შემოქმედების საუკეთესო ნიმუშების თარგმნა სომხურად.

მშრომელი ხალხის ბრძოლა თავისუფალი ცხოვრებისათვის მუდამ დიდ გამოძახილს პოულობდა ოვანეს თუმანიანის მხრივ. მაგალითად, 1903 წელს სტ. შაუმიანის ინიციატივით მან სომხურ ენაზე თარგმნა ერთი სტროფი ა. პუშკინის ოდისა „თავისუფლება". იგი არალეგალურად დაბეჭდა და ცარიზმის დროს ვრცელდებოდა ხალხში.

დიდი მუშაობა გასწია ოვანეს თუმანიანმა სომხური ხალხური ეპოსის „დავით სასუნცის" მხატვრულად გადამუშავებისათვის. ეს ეპოსი საყოველთაოდ ცნობილია როგორც სომეხი ხალხის გმირული წარსულის, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ მისი თავდადებული ბრძოლის ამსახველი ნაწარმოები.

ოვანეს თუმანიანის შემოქმედებისადმი ისეთსავე სიყვარულსა და პატივისცემას იჩენდნენ მოძმე ხალხთა მოწინავე ლიტერატურული ძალები, როგორითაც თვითონ იგი იყო განწყობილი ყოველი პროგრესული და კეთილშობილური მოვლენისადმი, რასაც კი შეამჩნევდა ხოლმე სხვა ერის კულტურულ ცხოვრებაში.

ოვანეს თუმანიანის ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ, ქართულ, აზერბაიჯანულ, უკრაინულ და სხვა მოძმე ხალხთა ენებზე. ამით სამაგიერო მიეზღო ერთა შორის სიყვარულის მგზნებარე პროპაგანდისტის — ოვანეს თუმანიანის თვალსაჩინო დამსახურებას.

ოვანეს თუმანიანის მთარგმნელთა შორის უთუოდ გამოირჩევა იოსებ გრიშაშვილი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის მოძმე ხალხის ამ საინტერესო შემოქმედის ნაწარმოებთა ქართულად თარგმნის საქმეში.

განსაკუთრებული პატივისცემით გამსჭვალული იყო ოვანეს თუმანიანი საქართველოს მიმართ. მან ბევრი ბრწყინვალე ნაწარმოებით გამოხატა ეს მოკრძალება. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ლექსები „შერიგება", „ნ. ბარათაშვილის საფლავთან", „საქართველოს სული", „ქართველ პოეტებს". ამ უკანასკნელ ლექსში ოვანეს თუმანიანმა შთაგონებით იმღერა:

ვის შეუძლიან, რომ
გადაგვთელოს,
ჩვენს სულში ღმერთი არ იწვის
განა?
დე იგრძნოს ყველამ, რომ
საქართველო
არის მგოსანთა წმიდა ქვეყანა.

პეტრე ბახტურიძე.

ინდოეთში ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების სამუშაოთა პროგრამა

დელი, 21 მარტი. (საკდესი). როგორც ელის რადიო გადმოგვცემს, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ, რომელიც ინდოეთის პარლამენტის წევრთა კრებაზე გამოვიდა, განაცხადა, რომ სამეცნიერო-კვლევითმა სამუშაოებმა, რომლებიც ატომის ცენტრში ხორციელდება ბომბეის ახლოს, საფუძველი უნდა ჩაუყაროს ინდოეთის მომავალი ეკონომიკის აყვავებას. ამჟამად, თქვა მან, ინდოეთში წარმოებს სამრეწველო რევოლუცია, მაგრამ საჭიროა მომზადდეს ატომური რევოლუციის ნიადაგიც.

ინდოეთის ატომის ენერგიის კომისიის თავმჯდომარემ დოქტორმა ჰომი ბაბამ კრებაზე გააკეთა მოხსენება ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების სამუშაოთა პროგრამის შესახებ. ჰომი ბაბამ განაცხადა, კერძოდ, რომ წელს ინდოეთში დაიწყება ატომის ელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის დამთავრება დასახულია 1962 წელს.

ჩანკაიშელთა კავშირი ინდონეზიელ მეამბოხეებთან

ჯაკარტა, 21 მარტი. (საკდესი). პრესაში ქვეყნდება დოკუმენტები, რომლებიც ამას წინათ მეამბოხეთაგან განთავისუფლებულ პაკიბარში კონფისკებულ იქნა. ეს დოკუმენტები ამხილებენ ჩანკაიშელთა, როგორც სეატოსა და ცენტრალურ სუმატრაზე აჯანყებულ ხროვას შორის შუამავალთა აქტიურ როლს. გაზეთი „ჰარიან რაქიათი" წერს, რომ ამერიკის ბევრი იარაღი მეამბოხეებისათვის გაგზავნილი იყო ტაივანიდან.

გაზეთები „ბინტანგ თიმური" და „სიმპთ" აღნიშნავენ მეამბოხეთა კავშირს ტაივანზე ავტოსატრანსპორტო კომპანიასთან, რომელსაც მეთაურობს ამერიკელი გენერალი ჩენოლტი. კომპანიას კავშირი აქვს სინგაპურთან და ბანგკოკთან.

ჩანკაიშელთა აგენტურა ინდონეზიაში, აღნიშნავენ გაზეთები, არა მარტო იარაღით ამარაგებს მეამბოხეებს, არამედ ძირგამომთხრელ საქმიანობასაც ეწევა ეკონომიკის დარგში.

ოქტომბერი

მოკლე ცნობები

◉ გაიხსნა პირდაპირი ტელეფონისა და ტელეფოტოკავშირი იაპონიასა და ჩინეთს შორის. ახლად გახსნილი ტელეფონის ხაზი ტოკიოს აკავშირებს ჩინეთის ხუთ ქალაქთან: პეკინთან, შანხაისთან, გუანჯოუსთან, ტიანძინთან და უხანთან.

◉ როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბოკსბურგიდან (ტრანსვაალი) იუწყება, ერთი ამერიკელი იურისტი საპყრობილეში ჩააგდეს იმისათვის, რომ მან „უარი თქვა დაეკავა სასამართლოში რასობრივი სეგრეგაციის წესები". (იურისტი არ დაემორჩილა მოსამართლის განკარგულებას დაეკავა სპეციალური ადგილი, რომელიც საერთო მაგიდასთან განკუთვნილია ფერადკანიანი ადვოკატებისათვის).

◉ ბუენოს-აირესში გაიმართა საბჭოთა კინოფილმის „მალვას" პრემიერა. არგენტინის დედაქალაქის მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა კინოსურათს.

◉ ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროზე ბობოქრობს ქარბუქი. მოვიდა 60 სანტიმეტრამდე თოვლი, ქარის სიჩქარე 100 კილომეტრს აღემატება საათში. ბევრ ქალაქში, მათ შორის ვაშინგტონში, ნამქერმა და ქარიშხალმა მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვიეს. სერიოზულად დაზიანდა ელექტროგადაცემათა ხაზი, შეჩერდა საქალაქო და რკინიგზის ტრანსპორტის მოძრაობა.

◉ მონტევიდეოში ხელი მოაწერეს სავაჭრო ხელშეკრულებასა და გადასახდელის შეთანხმებას ურუგვაისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის.

◉ პარიზში საზამთრო ველოდრომზე დაიწყო საბჭოთა ცირკის მსახიობთა გასტროლები. პრემიერას დაესწრნენ საფრანგეთის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეები, დეპუტატები, თეატრისა და კინოს მუშაკები. საბჭოთა მსახიობების გამოსვლამ დიდი წარმატებით ჩაიარა. (საკდესი).

პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს XIII პლენუმი

ვარშავა, 21 მარტი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს XIII პლენუმი, რომელიც ეძღვნება პროფკავშირული მოძრაობის აქტუალურ ამოცანებს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადწყვეტილებათა მიხედვით.

როგორც პოლონეთის პრესის საგენტო იუწყება, პლენუმის დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები: პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის ი. ლოგა-სოვინსკის მოხსენება პროფკავშირთა აქტუალური ამოცანების შესახებ, ყრილობის ძირითადი დოკუმენტების — პროფკავშირთა თეზისებისა და ახალი წესდების პროექტების განხილვა და მიღება. პლენუმი დაამტკიცებს აგრეთვე პოლონეთის პროფკავშირების ყრილობის მოწვევის თარიღს, ადგილსა და დღის წესრიგს.

ინდონეზიის მთავრობა გემებს უბრუნებს ჰოლანდიის სანაოსნო კომპანიას

ჯაკარტა, 21 მარტი. (საკდესი). ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ინდონეზიის მთავრობამ გადწყვიტა ჰოლანდიის სანაოსნო კომპანიის „კპმ" გემები დაუბრუნოს ამ კომპანიის დირექციას. მთავრობამ კომპანიის გემებს აუკრძალა ინდონეზიის წყლებში ნაოსნობა. ახლანდელ მდგომარეობაში, ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში, არ შეიძლება მოთმენილ იქნას ინდონეზიის ტერიტორიულ წყლებში კომპანიის „კპმ" გემების ყოფნა, რადგან ეს ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს. ეს გადწყვეტილება ვრცელდება კომპანიის „კპმ" 49 გემზე, რომლებიც ინდონეზიის ხელისუფალთა ბრძანებით დაკავებული იყვნენ ინდონეზიის ნავსადგურებში დასავლეთ ირიანის დაბრუნებისათვის ბრძოლის მსვლელობაში.

გზა გადავულოგოთ ფაშიზმს

პარიზი, 21 მარტი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, რომ გუშინ მონპელიეში (ეროს დეპარტამენტი) გაიმართა დიდი ანტიფაშისტური მიტინგი. მიტინგში მონაწილეობა მიიღეს მუშებმა, მოსამსახურეებმა, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

მიტინგზე გამოსულმა ყველა ორატორმა მოუწოდა მემარცხენე ძალებს დაირაზმონ, რაც საჭიროა იმისათვის, რომ გზა გადაეღობოს ფაშიზმს, დაიცვან დემოკრატიული თავისუფლებანი და დასაჯონ ისინი, ვინც ამზადებს ფაშისტურ პროვოკაციებს.

დასასრულ მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ადასტურებენ იმას, რომ მზად არიან გააერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი ფაშიზმის ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლისათვის და გაფრთხილებას იძლევიან, რომ საფრანგეთის ჰეშმარიტი დემოკრატები და რესპუბლიკელები არ მოითმენენ ფაშისტური ელემენტების საქმიანობას.

დღეს აღიმართება ალამი

ფეხბურთის XX ჩემპიონატი

1958 წელი ფეხბურთის ისტორიაში შევა როგორც დიდ ახალრეზობათა სეზონი. ხამამულო ფეხბურთს 60 წელი უსრულდება, XX პირველობა ხაიუბილეო ჩემპიონატად არის აღიარებული. ფიზკულტურისა და სპორტის ხაკავშირო კომიტეტმა „ა" კლასის იმ გუნდებისათვის, რომელიც ყველაზე მეტ შეხვედრას მოიგებს, დააწესა სპეციალური პრიზი.

თუ ამას იმასაც მივუმატებთ, რომ წელს შვეიცარიაში 16 უძლიერესი კოლექტივის მონაწილეობით, მოეწყობა მსოფლიო პირველობის გათამაშების დასკვნითი ასპარეზობა, მაშინ ადვილად გასაგები იქნება, თუ რაოდენ ხაინტერესო და მიმზიდველია ფეხბურთის ახალი სეზონი.

ფეხბურთელთა გუნდების უმრავლესობამ შეკრება შავი ზღვის სანაპიროს კურორტებზე გაიარა, დაკომპლექტა ძირითადი და დუბლ-შემადგენლობა, მოაწყო საკონტროლო მატჩები. ზოგიერთი გუნდი იმყოფებოდა ხაზღვარგარეთ, საერთო მომზადებასთან ერთად მათ ჩინეთის ხახალხო რესპუბლიკაში, ინდონეზიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამართეს ამხანაგური მატჩები.

მოსამზადებელი მუშაობა დამთავრდა, დადგა 23 მარტი, XX ჩემპიონატის ხაზეიმო გახსნის დღე. ამ დღეს თბილისში, ბაკოში, კიევში, ოდესასა და კიშინოვში „ა" კლასის გუნდების კაპიტნები აღმართავენ ალამს, გაიმართება პირველი მატჩები.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს შეხვედრები მაღალ სპორტულ დონეზე ჩაივლის.

სტადიონი პირველ სტუმრებს მოელის

ყოველი წლის მიწურულში, როგორც კი საფეხბურთო მოედნებზე ბრძოლა მიწყნარდება, სტადიონებზე მუშაობა არ ცხრება, იწყება ახალი სეზონისათვის მზადება.

წელს თბილისის „დინამოს" სტადიონმა მრავალი მიმდინარე სამუშაო შეასრულა. ეს ეხება არა მარტო სასპორტო ბაზის შიდა ნაგებობებს — სასპორტო დარბაზებს, ფეხბურთელთა გასახდელებს, შხაპებს. მნიშვნელოვნად შეკეთდა ცენტრალური საფეხბურთო მოედანი, სარბენი ბილიკები, მძლეოსნური სექტორები, იარუსები.

სტადიონის დასავლეთი ტრიბუნის წინ, იქ, სადაც მოწინააღმდეგეთა დუბლიორები და გუნდის ხელმძღვანელები იმყოფებიან, გაკეთდა სპეციალური გვირაბი პატარა ლოჟით.

კვლავ ვიწრო ადგილად რჩება სტადიონის ტრიბუნების საკითხი. დიდ მატჩებში იგი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. ამიტომ, გაფართოების მიზნით, განზრახულია მისი რეკონსტრუქცია იმ ვარაუდით, რომ სტადიონმა დაიტიოს 50 ათასამდე მაყურებელი.

სტადიონი მოელის პირველ სტუმრებს.

ლაპარაკობენ მწვრთნელები

მ. იაკუშინი

მოსკოვის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი

საბჭოთა სპორტსმენები, კერძოდ, ფეხბურთელები, სეროიოზული გამოცდის წინაშე დგანან. მსოფლიო პირველობის გათამაშების დასკვნითი ასპარეზობა შვეიცარიაში, საიუბილეო ჩემპიონატი, სსრ კავშირის თასის გათამაშება და მრავალი საერთაშორისო შეხვედრა მათ ახალი პასუხსაგები იმოცანების წინაშე აყენებენ.

მართალია, დედაქალაქის გუნდებს საკავშირო პირველობის გათამაშებაში ბრძოლის კარგი ტრადიცია აქვთ. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ თვითკმაყოფილებამ შეგვიპყროს. წინაღობებს შემოდგომაზე ითვლიანო — არსებობს ანდაზა. ჩვენი სურვილია წელს კიდევ ერთი შესანიშნავი შემოდგომა გვქონდეს.

მოსკოვის დინამოელები და მათი თბილისელი თანაკლუბელები კარგად იცნობენ ერთმანეთს, ცნობილია ჩვენი შეხვედრების შედეგებიც; მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ გასულ სეზონში სსრ კავშირის თასის გათამაშებაში დედაქალაქის დინამოელები თბილისელებთან დამარცხდნენ.

ჩემპიონის წინაღმდეგ ყოველი გუნდი შეუპოვრობით, მთელი ენერგიით იბრძვის, ამიტომ თბილისის დინამოელებისაგან თავისი შეცვლილი შემადგენლობით ჩვენ მხოლოდ ასეთ ბრძოლას მოველით.

ვ. სოკოლოვი

თბილისის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი

მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მონოლითური და სახელმოხვეჭილი კოლექტივია. ის ფაქტი, რომ ეს გუნდი სსრ კავშირის რვაგზის ჩემპიონი და სსრ კავშირის თასის ორგზის მფლობელია, ცხადყოფს მის პოპულარობას.

ჩვენ ვიცით, თუ რას ნიშნავს ჩემპიონთან შეხვედრა და ისიც პირველ მატჩში. პირველი გამარჯვება სერიოზული ბიძგი იქნება წინ არა მარტო ქულებით, არამედ მორალურადაც.

ტრავმის გამო მცველის ვ. ელოშვილის მწყობრიდან გამოსვლა უთუოდ დიდი დანაკლისია გუნდისათვის, მაგრამ შევეცდებით შევავსოთ ეს ხარვეზი, საერთოდ გავაძლიეროთ მცველთა და ნახევარმცველთა ხაზები.

გუნდში კიდევ უფრო განმტკიცდა დისციპლინა. ყოველი ფეხბურთელი მთელი მონდომებით იბრძვის საუკეთესო ტექნიკური და ფიზიკური მომზადებისათვის.

წინასწარ მსჯელობა იმაზე, თუ როგორ წარიმართება ასპარეზობა ან რა შედეგით დამთავრდება იგი, ძნელია. მაგრამ ერთი რამ ცხადია — უნდა მოველოდეთ მძაფრ, შეუპოვარ ბრძოლას.

ნეკროლოგი

ეროვნული თავდადებული

20 მარტს გარდაიცვალა ქართული საბჭოთა პრესის ძველი მუშაკი, გამოცდილ ჟურნალისტი თედორე (თედო) სიმონისძე კუნჭულია. მთელი თავისი სიცოცხლე მან გაატარა კომუნისტური პარტიის დიადი საქმისათვის თავდადებულ სამსახურში.

ამხ. თ. კუნჭულია დაიბადა ქ. ოზურგეთში (ახლანდელი ქ. მახარაძე) 1903 წელს, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1922 წელს ადგილობრივ ჰუმანიტარულ ტექნიკუმში სწავლის კურსის დამთავრების შემდეგ იგი გაემგზავრა ბათუმში და დაიწყო მუშაობა გაზეთ „ფუხარაის" რედაქციაში. მას შემდეგ ამხ. თ. კუნჭულია განუწყვეტლივ მუშაობდა ქართულ საბჭოთა პრესაში.

1926 წელს იგი გადმოვიდა თბილისში, მუშაობა დაიწყო გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში, სადაც მალე გამოირჩინა თავი როგორც უნარიანმა, ოპერატიულმა მუშაკმა. რედაქციაში მუშაობასთან ერთად იგი სწავლობდა უმაღლეს სასწავლებელში. 1932 წელს წარმატებით დამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და მიიღო სუბტროპიკულ კულტურათა აგრონომის კვალიფიკაცია.

სწავლის დამთავრების შემდეგაც ამხ. თ. კუნჭულია კვლავ განაგრძობდა „კომუნისტის" რედაქციაში მუშაობას ჯერ როგორც ლიტერატურული მუშაკი, ხოლო შემდეგ როგორც სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე. წლების განმავლობაში იყო გაზეთ „კომუნისტის" და ჟურნალ „საქართველოს კოლმეურნის" სარედაქციო კოლეგიების წევრი. ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ და პარტიულ მუშაობას. უკანასკნელ ხანს ამხ. თ. კუნჭულია მუშაობდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში პასუხსაგებ სამუშაოზე.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის კოლექტივში ენერგიული და ნაყოფიერი შრომისათვის იგი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

თავმდაბალი, უაღრესად პატიოსანი და გულისხმიერი ამხანაგის — თედო კუნჭულიას ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

მატჩ - რევანში

მოსკოვი. 22 მარტი. დღეს გაიმართა მსოფლიო პირველობაზე ვ. სმისლოვისა და მ. ბოტვინიკის მატჩ-რევანშის მეშვიდე პარტია ჭადრაკში.

საინტერესო ბრძოლის შემდეგ შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. მატჩის ანგარიშია 5:2 მ. ბოტვინიკის სასარგებლოდ.

რედაქტორი პ. რატიანი.

დღეს თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ანუშ (ღღისით), არწვაბერდი (საღამოს) — ერევნის სპენდიარიანის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი, **რუსთაველის სახელობის** — კომბლე (დღისით). დალი (საღამოს) — მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი, **მარჯანიშვილის სახელობის** — წიწამური (დღისით), საუნჯე (საღამოს) — გორის გ. ერისთავის სახელობის თეატრის სპექტაკლი, **სომხური დრამის** — ალისფერი ყვავილი (დღისით), როგორ მოვათვინიეროთ ცოლი (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სომბრერო (12 ს., აბ. № 15), ბაში-აჩუკი (7 ს. აბ. №39), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — კოკლი მეწისქვილე (11 ს. აბ. № 11, 3 ს. აბ. № 21), **თოჯინების ქართული** — ჭკუა და გამოცდილება (11 ს. და 2 ს.), **საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ხაზამთრო თეატრი** — ერთი ღამის შეცდომები (1 ს.), უკანასკნელი გაჩერება (8 ს. 30 წ.), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრის კონცერტი (9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ინანი, საქართველო (წითელი დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — უმისამართო ქალაქშვილი. **ოქტომბერი** — შელმენკო დუნჩოკი, **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **კოლხიდა, ძერჟინსკის სახელობის** (საზაფხულო) — სიცოცხლე თუ სიკვდილი, **თბილისი, ყაზბეგი** — წეროები მიფრინავენ, **კომკავშირელი** — ის თუ არა — ეს. **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი)—მგლები.

ვეიეგაღაცემათა კრებულმა 23 მარტისათვის

დილით

12.00 — გადაცემა ბავშვებისათვის — მონტაჟი მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის სპექტაკლისა „ბორის ძნელაძე", 13.00 — „თქვენი თხოვნით, მეგობრები". მხატვრული ფილმი „გოგონა და ნიანგი", 14.10 „რას ვნახავთ ჩვენ ეკრანზე", 14.15-დან 15.55-მდე შესვენება, 15.55-დან — საბჭოთა კავშირის პირველობის გახსნა ფეხბურთში მოსკოვის „დინამოს" და თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების მატჩის რეპორტაჟი თბილისის დინამოს სტადიონიდან. პირველ და მეორე ტაიმებს შორის — კინოჟურნალი „საბჭოთა სპორტი".

საღამოს

19.30 — ფილმი — კონცერტი „ბალეტი ყინულზე", 20.00 — კონცერტი, 20.40 — კინოჟურნალები, 21.00 — ბულგარული კინოკომედია „ეს მოხდა ქუჩაში".

24 მარტისათვის

19.30 — კინოჟურნალები, 19.50— მაყურებელთა თხოვნით — ნაწყვეტები კინოფილმებიდან ნ. ვაჩნაძის მონაწილეობით, 20.50 — მხატვრული ფილმი „მერცხალი".

ჟურნალ „საქართველოს კოლმეურნის" სარედაქციო კოლეგია და რედაქციის მუშაკთა კოლექტივი იუწყებიან ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრის

თედო სიმონის-ძე კუნჭულიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო იუწყება ამავე სამინისტროს მუშაკის

თედო სიმონის-ძე კუნჭულიას

გარდაცვალებას.

ილია, გივი, ენრი, ცოტნე, ვახტანგ, დავით შარაშიძეები იუწყებიან

გიორგი ესტატეს-ძე ლომაძის

გარდაცვალებას.

დები მარგალიტა, ვასასი, ანა, ნინო, ია, ძმა როსტომ, რძალი ნათელა მაჭავარიანები, სიძე შ. ცუცქირიძე იუწყებიან

ანასტასია ვახილის ასულ მაჭავარიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-III, 8 ს. გამოსვენება 25-III, 4 ს. ყალინინის ქ. № 74.

მეუღლე მატრონა, შვილები მანია ამბოკაძე, ივანე ნოზაძე ოჯახით იუწყებიან

ვახილ გიორგის-ძე ნოზაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-III სოფ. ალში (ხაშურის რ.).

მეუღლე ნიკოლოზ, შვილები ფაცია, თინათინ, გურამ, რძალი ლ. ფერაძე, სიძეები შ. ნათაძე, ო. მაისურაძე; ქეთევან კანდელაკი, კოტე, ალექსანდრე, ზურაბ რატიშვილები ოჯახებით იუწყებიან

ნინო ივანეს ასულ მაიხურაძე-რატიშვილის

გარდაცვალებას დაკრძალვა 25-III. 5 ს. გორში, გამოსვენება ბინიდან, კიროვის ქ. № 23.

გ. აბუსერიძე, ე. ბედია, ს. კოხრეიძე, ს. მატიხოვი, თ. სვანიძე, ბ. მანჯგალაძე, ო. ხეჩუმაშვილი, მ. ბახტაძე, რ. ჭკუასელი იუწყებიან

ივლიტა შოშის ასულ ბარათელის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-III ლეხაინდრაოში (გეგეჭკორის რ.).

მეუღლე ნოე, შვილი კოტე, დედა თეკლე, მამა ივანე, დები ზინა, ვალენტინა, ძმა ალექსანდრე ოჯახებით იუწყებიან

თამარ ივანეს ასულ გელეიშვილი-სანადირაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-III ქ. სამტრედიაში, გამოსვენება ჯაფარიძის ქ. I შესახვ. № 2.

და თამარ, ძმები ილია, პავლე, ნოე გიორგობიანები იუწყებიან

მელიტონ ბიჭიას-ძე გიორგობიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-III ქ. სოხუმში, გამოსვენება რკალის გზატეცილი № 7.

მეუღლე ბარნაბ, შვილები ოლია, ვლადიმერ, ვახტანგ, ნიკოლოზ, რძლები დარეჯან, სონია, ლუბა, სიძე ტ. იმნაძე ოჯახებით იუწყებიან

პიხტი ივანეს ასულ დოლიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-III ნიგოითში (ლანჩხუთის რ.).

მეუღლე თეო, შვილები რევაზ, რომან, გურამ, რძალი ეთერ, ძმა პეტრე ღლონტები იუწყებიან

ლავრენტი ალექსის-ძე ღლონტის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-III მახარიძეში, გამოსვენება ცხაკაიას ქ. № 75.

დედა ვარვარა, მეუღლე ლუსია, შვილი ლევან, და მარიამ შარიფაშვილები იუწყებიან

რუბენ ისაკის-ძე შარიფაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-III, 8 ს. გამოსვენება 25-III, 5 ს. 9 ძმის ქ. № 57.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-82-26 რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03 3-82-05. პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80 სამდივნოსი — 3-06-88. განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსიზმ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84 მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90. სოფლის მეურნეობის — 3-29-42 კულტურისა და ეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84 საბჭოთა მშენებლობის. კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმობალვის — 3-57-61 ადგილობრივი ინფორმაციის — 3-32-46. უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83. წერილებისა და პარტბილეთისა — 3-73-24, ილუსტრაციათ — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65. გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-72-20.